რაჭავ, ჩემო თვალის ჩინო...

რეჭველები

№ 4 (78) 1.04.2016 - 1.05.2016 ფასი: 2 ლარი ყოველთვიური გამოცემა

ახალი წიგნი „ნინო რევაზიაშვილის გამოცხადებიდან“

„ჩემი სულის ალბომი“... წერს ქალბატონი მზია, თუ თქვენც გადათვალიერებთ ამ ალბომს იგრძნობთ, რომ თითოეული გვერდზე მზე ჩასასხლეტია. მისი ნათელია ჯი სამყაროს ყიდით-ყიდვამდე სწვდება და სამშობლოს, ოჯახის, ასლობლებისადმია მიმართული. პატარა თუ დიდი ლირებული, ნიადი თუ ქართველი, ადგილი თუ შესაბამი წვიმა, სულს ვერ უშლის მზის ასად გამოდარებას...

ეს პოეზია ბიმნია სიყვარულის, მეგობრობის, ერთგულების, ადამიანისა და მუნების პარმონიის... მოწიწების გამოსავლენია თბილისისადმი, ალფაბეტია და მონაცრებია ბაჭის, პატიესცემა და დათასებია ქართლის, სსოვნია წინაპრების, ცეიფილი და იმედია გამბრწყინებული ერთიანი საქართველოსი და რაც ყველაზე მთავარია, მადლიერების გამოსავლენია სამყაროს შემოქმედისადმი.

განსაკუთრებით საინტერესოა მუნების პოეტისეული ალქმა, მინდვრის ყვავილიდან დაწყებული მთის ნისლიან მწვერვალზე ასული, თეძრს ადეკნებული, მუნებრივად გამობერწილი მცენარის ცეცანი თუ ულოდოანი სოლმიდან წიწვოვანი ჭალის ანარეკლამდე შაორის ცმაზე, ანკარა წყაროდან წამოსული, ჩანჩქერად გადმოსკენარი და თურაზედან ჩალეზილი ალბომის ფურცლებზე, ქალბატონი მზიას სამაგეშო ლექსებიც განმსჭვალულია სითბოთი და სიყვარულით. მოზრდილი თალმის ბრალებებით და მათდამი ყოთილი სურვილებით.

სადად და პირდაპირ გადმოცემული სათქმელი, გაანზრებული წარსული და მომავალი თალმის „წარმაცების დანაპირებით“ ორმაგად საინტერესოს ხდის მის შემოქმედებას, ერთგულ ეროსი თალმის, ისე ასალგაზრდებისთვის.

პოეტის ნათქვი თითქოს ცხოვრების რაღაც ეტაპზე ყველა ჩვენგანის ნაანზრეს ეხმიანება.

ბიბლიოგრაფია

ახალგაზრდა ავტორთა ანთოლოგია

ნელი ჩხარტიშვილი
ნარგიზ ჩიჯვილაძე
გულნაზ ტუძელაძე
მაყვალა დავითულიანი
გორა ენუქიძე
ემზარ საბანაძე
ომარ მხეიძე
ზაზა გოხელეზიანი

„რაჭველეგის“ რედაქცია

სარჩევი

7 აპრილი - ხარების
დღესასწაული! 2

ბზობა - უფლის დიდებით
შესვლა იერუსალიმში 2

დაუსვით კითხვა მოძღვარს..... 3

პასკის კულტურა
საქართველოში..... 5

ნინო რეხვიაშვილი

მესაზღვრე ქალის
კვალდაკვალ..... 6

ქეთევან ჩემია

„შეშურდება ზღაპრულ
თეთრონს თოვლზე შენი
გაქროლება...“ 8

ყიფიანები 12

ბეჟან მღვდელაძე

არ წაშლილა ბარაკონთან
ნატერფალი თამარის 16

ო, ენავ ჩემო..... 19

14 აპრილი - არა მხოლოდ
დედაენის დღე..... 21

მოგიწოდებთ! - ნუ დავაბინძურებთ
დედაენის სალაროს, სწორი
მეტყველების უპირველეს
მასწავლებელს - ქართულ
მწერლობას..... 23

გადაძახილი 24

ზურაბ ქაფიანიძე

შუმერული და ქართველური
ენები 26

ნინო რეხვიაშვილი

მშვიდობით, ჩვენო ჯონი! 29

დიაკვანი ერეკლე წაქაძე

ქრისტიანული აღდგომისა და
ებრაელთა პასექის თან..... 30

ზოდიკო ხომასურიძე

სიკეთე 33

ვეფხია გავაშელი

უკანასკნელი მოჰიკანი 36

მამა გაბრიელის შეგონებანი..... 37

თეონა კენჭიაშვილი

საიქიოს წაღებული სევდა 38

მამის წერილი შვილს 40

მთავარი რედაქტორი —
ნინო რეხვიაშვილი
ტელ: 599 74 68 10
დამფუძნებელი —
გოჩა გუტაშვილი
ტელ: 599 53 58 94
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარშეიშვილი
ტექსტი ააწყო
თამარ გოგინაძემ
კორექტორი
ქეთევან წახნაკია
მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი “რაჭველები” ემიგრანტ რაჭველებს და არა მარტო მათ, გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს _ გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები, რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.

ტელ: 599 74-68-10

ძვირფასო მკითხველო!
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

7 აპრილი – ხარების დღესასწაული!

„ხარება“ აღწერილია ერთადერთი მახარებლის – ლუკას მიერ. მართალი ელისაბედისაგან იოანე წინამორბედის ჩასახვის მეექვსე თვეზე, გაბრიელ მთავარანგელოზი მივლინებულ იქნა ნაზარეთს, ქალწულ მარიამთან. წარუდგა ანგელოზი ქალწულს და უთხრა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“. მარიამი შეაძრწუნა მისმა სიტყვებმა და გაიფიქრა: „ვითარ-მე არს მოკითხვაჲ ესე?“ - რას უნდა ნიშნავდეს ეს მოკითხვაო? ანგელოზმა უთხრა: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა. და აჰა, ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშვა ძე და უწოდი სახელი მისი იესუ“.

რიგ ღვთისმეტყველთა თვალსაზრისით, მთავარანგელოზის სიტყვები: „გიხაროდენ, მიმადლებულო“ იყო „მადლის“ პირველი უწყება კაცობრიობისათვის, ცოდვით დაცემის შემდეგ.

საეკლესიო გადმოცემა გვამცნობს, რომ მთავარანგელოზის გამოჩენის ჟამს წმიდა მარიამი კითხულობდა ისაიას წიგნს, სადაც აღბეჭდილია წინასწარმეტყველური სიტყვები: „აჰა, ქალწულმან მუცლად-იღოს და შვეს ძე“ (7,14). ამიტომ, ხარების ხატებზე ზოგჯერ ღვთისმშობელი გაშლილი წიგნით არის გამოსახული.

ხარების თარიღი პირდაპირ კავშირშია მაცხოვრის შობის თარიღთან – დღიდან ჩასახვისა (7 აპრილიდან) შობამდე (7 იანვარს) ზუსტად 9 თვის შუალედია.

ხარება ოდითგან მიიჩნეოდა დიდ უქმედ. ხალხში გავრცელებული იყო გამოთქმა: „ ხარებას ჩიტიც კი არ აგებსო ბუდეს“ – ანუ, ამ დღეს არ შეიძლებაო მუშაობა; იყო ასეთი მინიშნებაც: „როგორც გაატარებ ამ დღეს, ისეთი იქნებაო შენთვის მთელი წელიწადი“!

ბზობა – უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში

იესო ქრისტე სახედარზე ამხედრებული შედის იერუსალიმში, სადაც მას ეგებება ხალხი, რომელიც პალმის ტოტებს უფენს წინ შეძახილებით: „ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა, მეუფე ისრაჲლისაჲ!“ (იოანე, 12,13).

თითქოსდა ქრისტიანობა დღესასწაულობს – ქრისტეს ეთაყვანება წმინდა ქალაქი, მთელი ხალხი აღტაცებით ხვდება მას. მაგრამ სულ მალე გახდება ცხადი, რომ ვისაც ელოდნენ, ის თურმე არ სჭირდებათ – ელოდნენ პოლიტიკურ ბელადს, ვინც მათ გაათავისუფლებდა მიწიერი მტრისგან - ოკუპანტი რომაელებისაგან და არა გაცილებით საშიში მტრისგან – ეშმაკისაგან. ამიტომ, ბრბო, რომელიც დღეს იძახის: „ოსანა ძესა დავითისას“, ხვალ დაიძახებს: „ჯვარს აცუ ეგე“!

იერუსალიმში შესვლისას, იესო, პირველ ყოვლისა, ტაძრიდან გამოყრის ყველა მყიდველსა და გამყიდველს, ააყირავებს მეკერმეთა ტაბლებს და მტრედებით მოვაჭრეთა მერხებს. თანაც მკაცრად განმარტავს საკუთარი საქციელის მიზეზს: „ჩემი სახლი სალოცავ სახლად იწოდება; თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევიათ იგი“ (მათე. 21:13). ამის შემდეგ

იესო კურნავს უსინათლოებსა და ხეიბრებს.

ბზობის დღესასწაული სიმბოლოა, ერთი მხრივ, იესო ქრისტეს მისიის აღიარების, მეორე მხრივ – წინარე სახეა ადამიანის ძის სამოთხეში შესვლისა. ის, რომ მაცხოვარი შედის ქალაქში ვირზე ამხედრებული, გულისხმობს მშვიდობის, და არა ომის, მოსურნეობას (სიმბოლურად ვირზე ამხედრება – მშვიდობის ნიშანია, ცხენზე – ომისა).

მწუხრის ლოცვაზე დამსწრე მორწმუნენი ბზებით, ყვავილებით და ანთებული სანთლებით ხელში, მიესალმებიან უხილავად იერუსალიმს მომავალ მაცხოვარს, როგორც ჯოჯოხეთისა და სიკვდილის დამთრგუნველს. ცისკრის ლოცვისას ბზის ტოტები, რომლებიც ხელში უჭირავთ მორწმუნეებს, იპკურებიან ნაკურთხი წყლით.

მართლმადიდებელი ქრისტიანები ნაკურთხ ბზის ტოტებს მთელი წელი ინახავენ და მათ ხატების მოსართავადაც იყენებენ.

ლაზარეს შაბათი

ბზობის დღესასწაულს წინ უძღვის „ლაზარეს შაბათი“, როდესაც ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს მიერ თავისი მეგობრის, ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს აღდგინებას (იოანე 11. 1-45).

ეს არის უდიდესი სასწაული, რომელიც ქმნა უფალმა თავისი ჯვარცმის წინ! ლაზარეს შაბათი - ეს არის კიდევ ერთი საოცარი გამოვლინება იმისა, თუ რამდენად დიდია და მოწყალე უფალი! როგორც პატრიარქი ბრძანებს ერთ თავის ქადაგებაში:

„...ლაზარე იყო „მეგობარი ღვთისა“. უყვარდა უფალს ლაზარე და მისი დები. და როცა უთხრეს, რომ ლაზარე მოკვდა, მაცხოვარი ატირდა. ხომ იცოდა იესომ, რომ აღადგენდა ლაზარეს, მაშ, რატომღა ტიროდა იგი? ტიროდა იმიტომ, რომ მოახლოებული იყო ჟამი მისი ვნებისა; ტიროდა იმიტომ, რომ ზოგი ცხონდებოდა და ზოგი - ვერა. ტიროდა იმიტომ, რომ ჭვრეტდა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ მთელი იერუსალიმი გამოვიდოდა მის შესახვედრად და სულ 3-4 დღის შემდეგ კი იგივე ხალხი იყვირებდა: „ჯვარს აცუ, ჯვარს აცუ ეგე“. ასეთია დაცემული ადამიანის ბუნება. უფალი ტიროდა და ტირის კაცობრიობის ცხონებისათვის“.

დიდი ხუთშაბათი

დიდ ხუთშაბათს ქრისტემ უკანასკნელი სერობა გაუმართა 12 მოციქულს. ამ მოვლენის სახარებისეული ინტერპრეტაციით: „მოძღვარმა ჯერ მათ სათითაოდ დაბანა ფეხი, შემდეგ თქვა: ერთი თქვენგანი გამცემსო. ყველა შეძრწუნდა და იკითხა: „ნუთუ მე ვარო“. „სწორედ შენ“, უთხრა ქრისტემ იუდას და ჩასჩურჩულა: „რომელ გეგულვების საქმედ, ჰყავ ადრე“. იუდა ადგა, მღვდელმთავრებთან გაეშურა, ქრისტემ კი პური გაუტეხა მოციქულებს, მიაწოდა და უთხრა: „ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის გატეხილი“, შემდეგ ღვინო დაუსხა: „ესე არს სისხლი ჩემი, თქვენთვის და მრავალთათვის დანთხეული“.

რატომ ვლებავთ საღდგომოდ კვერცხს წითლად?

წმიდა გადმოცემის მიხედვით, ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები სხვადასხვა ადგილებში გააგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. მაცხოვრის მიმდევარი და მისი ერთგული მარიამ მაგდალინელი საქადაგებლად რომში ჩავიდა. ის ქვეყნის მმართველს იმპერატორ ტიბერიუსს წარუდგინეს, რომელსაც ძღვნად წითელი კვერცხი მიართვა და ახარა: – ქრისტე აღდგა!. “ამის დაჯერება ისევე ძნელია, როგორც ამ კვერცხის გაწითლება” –

ჩაიღიმა იმპერატორმა და სიტყვა არც ჰქონდა დასრულებული, რომ კვერცხი ჯერ გავარდისფრდა, ბოლოს კი გაწითლდა.

გაოცებულ ტიბერიუსს მარიამმა მოუთხრო იესო ქრისტეს ცხოვრებაზე, ჯვარცმასა და მკვდრეთით აღდგომაზე. კვერცხი ზოგადად სიცოცხლის სიმბოლოა, წითლად შეღებვა კი იმისა, რომ ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსყიდულ კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე მიენიჭა. ეს მოვლენა გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისთვის წითელი კვერცხით მიელოცათ. კვერცხის შეღებვის ტრადიცია წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება.

ტრადიციის თანახმად, სააღდგომო კვერცხები წითლად, წითელ პარასკევს მზის ჩასვლამდე იღებება. კვერცხის შესაღებად ძირითადად ბუნებრივ საღებავს, ენდროს იყენებენ და ზოგჯერ ხახვის ფურცლებსაც უმატებენ.

რა უნდა ვიცოდეთ საფლავზე გასვლისას.

„ცუდი ტრადიცია იყო, რომ აღდგომის დღესასწაულს ადამიანები მიცვალებულებს უკავშირებდნენ, მაგრამ ჩვენი პატრიარქის დიდი ძალისხმევითა და შემწეობით, დასაბამი დაედო აღდგომის სწორად აღნიშვნას საქართველოში, რომ ამ დღეს არ გავიდეთ საფლავზე", - ამბობს სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი **გიორგი სანამაშვილი**, რომელსაც კონკრეტულად ამ საკითხზე ვესაუბრეთ, თუ ქრისტეს აღდგომის შემდეგ, როდის უნდა გავიდეთ მიცვალებულთა საფლავებზე.

- აღდგომა არა მიცვალებულების, არამედ, ცოცხლების დღესასწაულია, ანუ სიკვდილი დაითრგუნა და ქრისტე აღსდგა. მაგრამ ჩვენში არაერთი ეკლესია სასაფლაოსთან მდებარეობს და აღდგომას ქრისტიანები ერთმანეთს შეძახილებით, — „ქრისტე აღსდგა!" — ეგებებიან. შემდგომ ტაძრის გარშემო შემოტარება ხდება და იმ დროს სიმბოლურად საფლავებზეც დადებენ ხოლმე კვერცხს, შეძახილებით: ქრისტე აღსდგა! ანუ იმის შესახსენებლად, რომ აღსდგება თითოეული ადამიანი. ეს ტრადიცია არ არის ცუდი და არც არაფერი შეზღუდვაა იმაში, რომ საფლავთან არ მიხვიდე, მაგრამ უპირველესად უნდა გააცნობიერო, რომ რადგანაც ქრისტე აღსდგა - ეს სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღესასწაულია და არა გლოვისა და მწუხარების.

- ადრე ეშლებოდათო... მგონი, ეს დღესაც ეშლებათ...

- ძირითადად აღარ ეშლებათ, მაგრამ მათ, ვისაც ეს ჯერ კიდევ გაცნობიერებული არა აქვს, საჭიროა შეხსენება, რომ აღსდგომა მიცვალებულების დღე არ არის და ამ პერიოდში საფლავზე გლოვა არ შეიძლება. თუ მაინცდამაინც მივლენ, საფლავს უნდა შეუძახონ, რომ ქრისტე აღდგა! რითაც დიდი სიხარული შემოდის. მოკლედ, ამ ყველაფრისთვის უწმინდესმა დააწესა ასეთი დღესასწაული კალენდარში, აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი, რომელსაც საფლავთა კურთხევის დღე, დიდუბობა ჰქვია. შემდგომ კი კვირაცხოვლობის სამშაბათი, ანუ თომას კვირის შემდეგ არის მიცვალებულთა მოსახსენიებელი დღე.

- წელიწადში მიცვალებულთა რამდენი მოსახსენიებელი დღე არსებობს?

- შვიდი და მათგან კვირაცხოვლის სამშაბათია ერთ-ერთი, როცა ხდება მიცვალებულთა პანაშვიდების გადახდა.

- ისე, საფლავზე გასვლის რიტუალიც საკმაოდ დამახინჯებულია. აღდგომის დღესასწაულზე იქ შამფურებითა და 20 ლიტრიანი ბოცითაც მინახავს ადამიანები მისულები...

- ეს სირცხვილია. საერთოდ, არა მარტო საფლავებზე ღრეობა, არამედ ღრეობა ოჯახებშიც. ეკლესია გამიჯნულია ამ ქმედებისგან, მიუხედავად იმისა, რომ ტრაპეზი, ქართული სუფრა ღმერთისგან ნაკურთხია. ეს ყველაფერი ძალიან მოზომილად უნდა მოხდეს. თან, ერთბაშად ადამიანი არ შეიძლება ასე ხარბად შეექცეოდეს, რაც ხშირად ქართველებს გვახასიათებს. ყანწებს ვცლით, ლიტრობით ღვინოს ვსვამთ. თუ თითოეული ამას დააკვირდება, მიხვდება, რომ ამით უპირველესად მის ჯანმრთელობას ვნებს, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ. ზოგადად, სამწუხაროა, როცა ქრისტიანი ადამიანი მოუწესრიგებელია, არ აქვს მაღალი შეგნება. არ შეიძლება კაცი ქრისტიანს უწოდებდეს საკუთარ თავს და აბინძურებდეს საფლავებს იქ მიტანილი საკვების ნარჩენებით. ზოგადად, არ უვლიდეს მიცვალებულთა საფლავებს და მინდობილი იყოს მხოლოდ იქ მომსახურე პერსონალზე. ეს ყველაფერი ცოდვაა და ადამიანის უკიდურესი გაუკუღმართება. ქრისტე ასეთი არ იყო და ამას არ მოუწოდებდა სხვებს. ჰიგიენა და წესრიგი, სისუფთავის დაცვა, სასაფლაოს მოვლა რომ აუცილებელი რამ არის, ეს დაუწერელი კანონია.

სააღდგომოდ

პასკის კულტურა საქართველოში

პასკა, სავარაუდოდ, არის ართოსის სახეცვლილება, რომელიც ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წყაროებში ნახსენებია როგორც ქადა. დიდ ხუთშაბათს ტრაპეზზე იესომ თავის მოციქულებს დაალევინა ღვინო და მისცა პური, სისხლი და ხორცი მისი. მას შემდეგ რაც ქრისტე ჯვარზე გააკრეს, მისი მოციქულები, იმ დღის გასახსენებლად პურს აცხობდნენ, რომელზეც ჯვარს გამოსახავდნენ და დებდნენ სუფრაზე, იმის მოსაგონად, რომ უფალმა იესომ დაუბარა მათ ამ ზიარების საიდუმლოს შესახებ.

სავარაუდოდ ეს პური მრევლში ქადის სახით გადმოვიდა. ეს ქადა უნდა იყოს პასკა, რომელსაც ეს ფორმა და მოყვანილობა არ ჰქონდა მაშინ, მაგრამ იყო რაღაც მსგავსი.

თვითონ პასკის ფორმა, გოლგოთის მთის სიმბოლოა. აფუებული ცომი იმიტომაა, რომ ქრისტემ ზიარების საიდუმლოს დაწესებისას, სწორედ აფუებული პური ჭამა.

როგორ მოვამზადოთ პასკა

მასალა

10 კვერცხი
1.200 შაქარი
3 კგ.ფქვილი
მშრალი საფუარი დიდი შეკვრის ნახევარზე ცოტა მეტი
1 ლიტრა რძე
250 გრამი მარგარინი
250 გრამი კარაქი
1 ჭიქა ზეთი
300 გრამი შავი ქიშმიში,ცუკატები სურვილის მიხედვით

ნახევარ ლიტრა თბილ რძეში გახსენით საფუარი 6 სუფრის კოვზი,1 ჩაის კოვზი შაქარი დაუმატეთ, რომ კარგად აფუვდეს

მეორე ნახევარ ლიტრ თბილ რძეში გახსენით ცხიმი, მარგარინი, კარაქი, ნახევარი ჭიქა ზეთი.

ცალკე 10 კვერცხის ცილა კარგად ამოიყვანეთ (ოთახის ტემპერატურის კვერცხის ცილა უფრო კარგად ამოდის), დაუმატეთ 10 სუფრის კოვზი შაქარი, მწიკვი მარილი და კარგად აურიეთ.

ცალკე 10 კვერცხის გულისგან და დარჩენილი შაქრისგან ვაკეთებთ გოგლიმოგლს, კარგად ათქვიფეთ გათეთრებამდე.

გოგლიმოგლს დაუმატეთ გამზადებული ბეზე და კარგად აურიეთ.

ცალკე დიდ თასზე დავყრით 3 კგ ფქვილს დავასხამთ საფუარიან და ცხიმიან ზეთს,კარგად აურიეთ და შეაზილეთ კვერციანი მასა, კარგად აურიეთ, დაუმატეთ დარჩენილი ნახევარი ჭიქა ზეთი და კარგად მოზილეთ ცომი.

ცომს ამოსასვლელად სჭირდება 6 საათი.

ღამით მოზილეთ შეფუთეთ თბილად და დილით უკვე მზად არის, ღამე ჩაზელვა არ სჭირდება.

დილით ამოსული ცომი ჩაზილეთ კარგად, დაუმატეთ ქიშმიში, თქვენი სურვილის მიხედვით, თუ გნებავთ ცუკატები, 1 ცალი ლიმონის ცედრა, ვანილი, ნახევარ-ნახევარი ჩაის კოვზი მუსკატის კაკალი, ილი, მწიკვი დარიჩინი და მიხაკი, ვისაც არ გიყვართ დარიჩინის გემო არ დაუმატოთ.

აიღებთ ფორმებს, ჩაუფინეთ ქაღალდი, წაუსვით ცხიმი.

ცომს ფორმაში ვდებთ ნახევრამდე. ცხობისას 2-ჯერ იზრდება.

ფორმაში ცომს ვაჩერებთ 6 საათი. შემდეგ შედგით გახურებულ ღუმელში 150 გრადუსზე.

1 საათის შემდეგ გამოაღეთ ღუმელი და ხის ჩხირით გასინჯეთ. როცა გამოცხვება შეგრილდეს და შემდეგ ამოიღეთ ფორმიდან.

თქვენი სურვილით შეგიძლიათ მორთოთ, მე მინანქარს ვასხამ.

ყველაზე მთავარია, ცომის მოზელის დროს უნდა იყოთ კარგ განწყობაზე და მთელი სიყვარულით მოზილოთ ცომი, უნდა მოეფეროთ ცომს.

წარმატებებს გისურვებთ!

ამ რეცეპტით პასკა გამოდის მძიმე და ნოტიო, როგორიც უნდა იყოს ნამდვილი პასკა, არაფუმფულა.

2 ულუფას ერთად ნუ მოამზადებთ.

მესაზღვრე ქალის ოცდაოცდა

ანა გიორგობიანი დაიბადა 1966 წელს ქ. ამბროლაურში. რაჭაზე უზომოდ შეყვარებულმა ქალბატონმა მოღვაწეობა აქვე ამბროლაურის კულტურის სფეროში დაიწყო და პარალელურად შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა. 2009 წელს გამომცემლობა „მაცნემ“ დაბეჭდა მისი ლირიული ნაწარმოების კრებული: „დათოვლილი გაზაფხული“. ქალბატონი ანა 2001 წლიდან მოყოლებული, დღემდე, საქართველოს საზღვრის დაცვის სადარაჯოზე დგას. 2011-15 წლებში მან იმსახურა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარზე ჭოროხის ხეობაში. — *„მე ჩემი ქვეყნის ტკივილი მტკივა, მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მზისა და მიწის მიტოვების სურვილი არასოდეს გამჩენია, მე ჩემს ქვეყანასთან ერთად მინდა მტკიოდეს და მიხაროდეს თითეული დღე*

ანა გიორგობიანი

ანა გიორგობიანი
თანამებრძოლთან ერთად

და საათი. ჩემთვის უდიდესი პატივია ვიყო ქალი, მერქვას დედა, ვიყო სამხედრო მოსამსახურე და მქონდეს შესაძლებლობა იმისა, რომ ჩემი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში ცოტაოდენი წვლილი შევიტანო“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა ანამ. ამჟამად ანა გიორგობიანი საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მონიტორინგისა და კავშირგაბმულობის სამსახურის სპეციალისტია. მას ორი შვილი ჰყავს: ლიკა და ბექა ბერაძეები (ბექაც მესაზღვრეა. ის საქართველო აზერბაიჯანის-სახელმწიფო საზღვარს იცავს). სამი შვილიშვილი: ზურა და ლუკა ხუციშვილები და სანდრო ბერაძე.

ქალბატონი ანა, ძირძველი აჭარის მიწა-წყალზე სამსახურს, განსაკუთრებული მოწიწებითა და სიყვარულით იხსენებს:

„შემოდგომის მზის სინათლე უხვად ჩამოღვრილიყო აჭარის მთებზე, კორდებზე, ჭალებში, ზღვაში... ლურჯი ზღვა წყნარად ირწეოდა და მზის ათინათებს ოქროსფერ მონეტებად აჩენდა წყლის ზედაპირზე. კათედრალზე სამისნახევარი დარეკა, როდესაც თბილისიდან ბათუმში ჩავედი, უმალ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის I სამმართველოს მივაშურე. არასდროს დამავიწყდება სამმართველოს უფროსის, ბატონი გიგა ქათამაძის გულთბილი მიღება. გადაწყდა, რომ სამსახურს 2 სექტორზე ვაგრძელებ, რომელიც განთავსებულია სოფელ კირნათში, საქართველო-თურქეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მეგზურობა ბატონმა რამაზ კახაბერიძემ გამიწია.

აჭარისწყალზე მისულს დიდებული ტაძარი შემომეგება:

იდგა ათასი წლის გასამზირალზე რიყის ქვით ნაშენი ჯავართილისმა, ამ დიდებული ხეობისა და ლოცავდა აწინდელ გზასავალს ჩემსას... ობოლი ცრემლი მოსწყდა წამწამებს. მადლობა ღმერთს, რომ უკვდავია ქართული სული! სამანქანო გზას აღმა შევუყევით. საირმიან კორტოხებზე სოფლებია შეფენილი. გზაგასაყარზე ხელმარცხნივ შევუხვიეთ, მარჯვნივ მოვიტოვეთ მაჭახელას ხეობა, წითელი ხიდი გავიარეთ და ლივანას (ლიკას) ხეობას აღმა ავუყევით. წინ საოცარი პეიზაჟი გადაიშალა: ხეობას მარჯვნივ მოუყვება მხრებში ფართოდ გაშლილი მრავალჭირნახული მდინარე ჭოროხი და ერის საწუხარს ბუტბუტებს... მარცხნივ ფოთლოვანი ტყეა ატეხილი. ტყის სიღრმიდან ქვიან კბოდეზე მცირე ჩანჩქერად ჩამორბის აქაფებული წყალი. სოფლის შესასვლელში საშუალო სკოლაა განთავსებული, რომლის ეზოც პალმის ხეებითაა მოჩრდილული. პალმებს შორის წმინდა ნინოს ვაზის ჯვარია აღმართული.

შვილიშვილები: სანდრო ბერაძე და ზურა ხუციშვილი

ჩემი პირველი მასპინძელიც თავად რამაზი გახლდათ. თბილი გული, იმედი და სიყვარული დამიდო ტაბლაზე მისმა მეუღლემ, ქალბატონმა მაიკო ბედიანიძემ. შემოდგომის მზიანი დილა გათენდა. დიდებული მნათობი უშურველად აბნევდა დედამიწაზე ოქროსფერ ისრებს. მწვანე კორდებზე იღვრებოდა მზის სინათლე. ლოცვა დავიწყე: „მამაო ჩვენო“, დილის ლოცვა აიტაცა ნიავმა და ჰაერში განფინა, ვით თეთრი მანდილი.

სექტორზე გამოვცხადდი, აქ პირადმა შემადგენლობამ, როგორც საკუთარი ოჯახის წევრი ისე მიმიღო. იმ წუთიდან ვირწმუნე, მიუხედავად იმისა, ოჯახიდან თითქმის მთელი თვე მოშორებული ვიქნებოდი, ამ ადამიანებს შორის სამსახური რთული არ იქნებოდა. გულთბილად მიმასპინძლეს ქალბატონებმა ინეზა მამუალაძემ და მადონა დავითაძემ. აჭარული ტრადიციული კერძები „ბორანო“ და „ბაქლავა“ პირველად მათთან დავაგემოვნე.

იისფერი შეღამება მწუხრის მოტივს წააგავდა... წვიმიანი ღამე იდგა. ტყიდან ტურების მოტირალი ხმა ისმოდა, ხანგამოშვებით ბუ გაჰკიოდა, ხის ქვეშ შეფარებული წაბლა ცხენი ფრუტუნებდა. პატარა ტბორებში ცეკვავდნენ წვიმის წვეთები, — ღამე ცოცხლობდა... ინათა, აღარ წვიმდა, მგლისფერი ზეცა ალაგ-ალაგ გაეფხრიწა ცის სილაჟვარდეს. ხევში დაფენილი ნისლი იისფერ ბოლქვებად ადიოდა მაღლა და მირაჟივით უჩინარდებოდა.

შარაგზას ნელი ნაბიჯით გავუყევი. სუფთა ჰაერში ტყის სუნი ტრიალებდა. სოფლის შუკას ხმაურიანი ღელე ჩამოუდის, ანკარა წყალი მარდად ხტის შავხავსმოდებულ ლოდებზე და ათას მითსა და საგმირო არაკს მოგვითხრობს. ამ ლოდებში ეპოსია ჩაკირული. აქ თითოეული გოჯი მიწა წინაპართა სისხლითაა გაპოხილი. აჭარა უძველესი ქართული კულტურის ძეგლია.

ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფე მატათა აქ მოღვაწეობდა. მან თავისი სიცოცხლე აფსარუნტის (გონიო)-ს ციხეში დაასრულა. ანდრია პირველწოდებული სოფელ დიდაჭარაში მოღვაწეობდა. ქართლის ცხოვრების ცნობით, ეგრისის (ლაზიკა) მიწა-წყლიდან ანდრია კლარჯეთში გადასულა. მოვსეს ხოცენასის (Vს.) ცნობით, წმინდა ნინოს ქრისტეს სჯული უქადაგია კლარჯეთიდან მოყოლებული დარიალის კარამდე, ესე იგი მისი მადლიანი ვაზის ჯვარი ლივანას ხეობის მიდამოებსაც შეეხო. დიახ, — ეს ჩემი აჭარაა! ჩემი სამშობლოს ძირეული მაჯისცემაა. სწორედ აქ, ამ ადამიანთა მხრებზე დაბრუნდა უკუღმა საწუთროს ბედის ბორბალი და სამსაუკუნოვანი მონობის მძიმე უღელქვეშ მყოფმა აჭარლებმა მაინც მოახერხეს და ჩვენამდე მოიტანეს ქართული ენა და ტრადიციები. თბილი დარი დადგა. მზე შუბის ტარზე იდგა ბათუმის საკათედრო ტაძარს რომ მივაშურეთ. დიდებული დღე იყო! — იმ დღეს კიდევ ორი ქართველი მანდილოსანი ეზიარა ქრისტეს ნათელს — ქალბატონი ირმა დიდმანიძე და ქალბატონი მარიკა აბაშიძე.

უდიდესი სიამაყით ვუმზერდი მე, მათი ნათლია, თუ როგორ ლიცლიცებდა კელაპტარი მათ ხელში და რა ღვთიური, სათნო, მადლიანი ნათელი ეფინათ სახეზე.

სოფელი თბილია. სტუმართმოყვარე აჭარლებმა ფართოდ გამიღეს სახლის კარი: ნარგიზი, დოდო, მადონა... რამდენი ერთი ჩამოვთვალო? სიყვარული ხომ სიცოცხლის უმაღლესი ჯილდოა, — მე თქვენ მიყვარხართ, აჭარლებო“!

ქალბატონი ანა იშვიათი შემართებისა და პროფესიის ადამიანია. მას ერთნაირად უხდება მესაზღვრეობა თუ დედობა, ქალობა თუ ჩინებული დიასახლისობა, საინტერესოა, რატომ აირჩია ეს ვაჟკაცური პროფესია, ერთი შეხედვით ნაზმა, ქალურმა, მაგრამ სულით მტკიცე პიროვნებამ. იქნებ ამ თემაზე მოგვიანებით გვესაუბრა. ახლა კი ქალბატონ ანას ვულოცავთ საიუბილეო თარიღს. 2016 წელი მისთვის 5 ათეულწლოვანი ოქროს გვირგვინია. წარმატებას, სულის სიმტკიცესა და ღვთის შეწევნას ვუსურვებთ საამაყო ქალბატონს.

ნინო რეხვიაშვილი

„შეშურდება ზღაპრულ თეთრონს, თოვლზე შენი გაქროლება...“

დრო რასაც წაეწევა - უმოწყალოდ ანადგურებს. ეს ჭეშმარიტება არ ეხება ადამიანურ ღირსებებს. აი, თუნდაც იმას, რომ რაჭა საქართველოს უძველესი და ულამაზესი კუთხეა, სადაც უამრავი ღირსებით შემკული ადამიანები ცხოვრობენ. საოცარია, მაგრამ საუკუნის წინათ წამოსულიც კი დღემდე რაჭველად თვლის თავს, უხარია და ჩუმი სიამაყით აღიარებს რაჭველობას.

სამართლიანადაც...

ნანა ბაღაშვილი წარმოშობით გლოლელია და ეს არასდროს ავიწყდება.

რაჭველობა მისთვის სტატუსია.

ქალბატონი ნანა ჟურნალ „რაჭველების“ სტუმარია.

***

ჩემს წინ, სევდიანი უტეხი ბუნების ქალბატონი ზის ლაჟვარდისფერი წყლიანი თვალებით. მადლობა უფალს სიცოცხლისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ბედისწერამ უსაშველო გაუსაძლისი ტკივილისთვის გაიმეტა, უსაყვარელესი ადამიანები წაართვა. სამუდამოდ წავიდნენ ნანასგან მირიან ბაღაშვილი - მისი ვაჟი და ლელა ჯავახიშვილი - რძალი, სულ პატარები დაუტოვეს გასაზრდელად; — ნანუკა და ლუკა, რომლებმაც აიძულეს ბებო ეცხოვრა და ფარხმალი არ დაეყარა. გაუჭირდა, ძალიან გაუჭირდა და ვერც შეძლებდა, ალბათ, რომ არა მისი გოგონა მირანდა ბაღაშვილი, რომელმაც იმ შორეული ამერიკიდანაც შეძლო დედის გულს მისალბუნებოდა, მაგრამ მისი სიცოცხლისადმი დაუდეგარი დამოკიდებულება მირიანმა და ლელამ გაიყოლეს თან, სამაგიეროდ, უკვე მოზრდილები არიან მისი თითქმის შვილებივით გაზრდილი შვილიშვილები: უფროსი - ნანუკას პატარა მაშიკო, უმცროსი - ლუკა ბაღაშვილი, სამედიცინო ინსტიტუტის მეორეკურსელია... ნანა ბაღაშვილისთვის მიედინება ცხოვრების მდინარე.

ეს ის ნანა ბაღაშვილია, რომელზეც ლექსებს წერდნენ, მის სპორტულ მიღწევებს შეჰხაროდნენ.

წარმატებები და აღიარება შემთხვევით არ მოსულა, სიმშვიდე იოლად არ შეუნარჩუნებია.

მოკლედ, სიცოცხლეში ალბათ საუკუნეზე მეტი განვლო. ჩემს წინ ზის ღირსებით სავსე, ძლიერი ქალბატონი, ერთ დროს თხილამურების ჯადოქარად წოდებული და ძველებურად ერკინება წუთისოფელს, რომელმაც მას შვილის წართმევით უმუხთლა, სხვა მხრივ, მისი მომრევი არაფერი იყო - მას შემდეგ, რაც უკან დარჩა ბიძამისის მიერ წიფლის ხისგან გამოთლილი პირველი თხილამურები, უხეში და გაუღუნავი მეშებით ისე მჭიდროდ რომ ეკვროდა ფეხზე და უფრო იოლად მოიძრობდა, ალბათ, ვიდრე თხილამურებს. მაშინ ეს არანაირ უხერხულობას არ უქნიდა. გვიან, დიდი ხნის შემდეგ აჩუქეს პირველი ახალთახალი კიროვსკის თხილამურები. ქალებში რესპუბლიკის 18 გზის ჩემპიონიო, ამბობდნენ, მაგრამ მამაკაცი მეტოქე არც ჰყოლია.

პერმში გამართულ ზამთრის პირველ საკავშირო თამაშების ფინალში 20 კილომეტერიან რბოლაში ნინა პოდიუკოვას შემდეგ, 1 საათსა და 18 წუთში მეორე მივიდა ფინიშამდე. გახდა ვერცხლის მედლის პრიზიორი. გაზეთებში იუწყებოდნენ და იყო აღტაცება ქართველი მოთხილამურე სპორტსმენის

მიღწევების გამო, რაც შეუპოვარი ვარჯიშის, წვრთნის, საკუთარი ძალების მობილიზების და მაღალი სპორტული მომზადების შედეგი იყო. შემდეგ, ჯერ საქართველოს ნაკრებში ქართველ სპროტსმენთა ღირსებას იცავდა. მრავალგზის ჩემპიონი ქართველ ქალთა შორის ერთადერთი სპორტის ოსტატი სათხილამურო რბოლაში. ბრწყინავდა და ბადალი არ ჰყავდა სპორტის სახეობაში, რომლის მიმდევრობის საქართველოში არც ტრადიცია იყო, არც მეტოქე.

- ***„არა, უცნაური ის არის, რომ ოჯახში მეოთხე შვილი და მეორე გოგო რომ გავჩენილვარ, - ჰყვება ნანა, - და ყველა ჩემს წინააღმდეგ წასულა, მაგრამ არც ამას შეუშლია ჩემთვის ხელი დაუდეგარი ვყოფილიყავი. რა ვიცოდი ჩემს გაჩენას რომ აპროტესტებდნენ, მაგრამ შურისძიება კი გამომდიოდა, ყავრისგან გამოთლილი თხილამურებზე შემდგარი გლოლის მთებში დავქროდი და დედის მეშინოდა, რომელიც აუცილებლად ზომაზე მეტად გამიწყრებოდა, ამდენი ხანი სადა ხარო“...*** ვინ იცის, მაშინ ყალიბდებოდა ძლიერი სპორტსმენი და ადამიანი, რომელიც შემდეგ ყველას აოცებდა საქართველოში არცთუ პოპულარული სპორტის მიმდევრობით. ნანა ბაღაშვილი თხილამურებით მოსრიალე სპორტსმენი გახდა. მისი ცხოვრების ყოველი დეტალი დაწვრილებით აღწერილი აქვთ ჟურნალისტებს, მოსვენებას რომ არ აძლევდნენ. მისი ყოველი ნაბიჯი იციან სპორტსმენებმა და მისმა ახლობლებმა, დრო ვერაფერს დააკლებს იმას, რითაც დააჯილდოვა - შეუპოვრობა, მიზანსწრაფვა, ულევი ენერგიასა და ცხოვრებასთან მედგრად ჭიდილის უნარი.

კარგია, თუ ცუდი — ძნელი სათქმელია.

მაგრამ ცხადია, სპორტმა ბევრი სიხარული მოუტანა შრომის და ნებისყოფის, სიცოცხლის ფასადაც. ეს ბაკურიანში იყო, სათხილამურო ტრასაზე თოვლი უკვე დნებოდა, როცა ნანა ბაღაშვილი მასზე მთელი სიჩქარით მოქროდა და სრულიად მოულოდნელად იგრძნო, რომ ტრასას აცდა. ახლაც ახსოვს როგორ აფრინდა, შემდეგ როგორ ამოვიდა ხრამიდან. მაგრამ არ იცოდა, რომ იქ 4 საათი უგონოდ იწვა და მთელი ბაზა ამაოდ ეძებდა.

დიდი სპორტი დიდ ძალისხმევას მოითხოვს, რაც ბლომად იყო მასში.

ბაღაშვილები ისტორიულად ლიპარიტ ბაღვაშის, კლდეკარის ერისთავების შთამომავლებად ითვლებიან და მეფე დავით აღმაშენებელთან მისი დაპირისპირების შემდეგ გვარი მთელ საქართველოში მიმოფანტულა, მათი დიდი ნაწილი გამოჩენილი ადამიანი გამხდარა.

პირველ შეჯიბრზე რომ გავიდა, თხილამურები მასზე დიდი იყო და ზედ არ ჩანდაო, ხუმრობდნენ. 11 წლის გოგონა გაუგონარ სიბეჯითეს იჩენდა თავდადებული შრომით. მალე საქართველოს ჩემპიონი გახდა. შემდეგ 9 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი. მის წრეგადასულ სიბეჯითეს პირველად დედა აღუდგა წინ და საბოლოოდ მისი ბედიც განსაზღვრა: ნანა ბაღაშვილმა პირველ შეჯიბრზე გასასვლელად მეზობელ სოფლამდე 9 კილომეტრი ჯერ ფეხით იარა, შემდეგ თხილამურებით მოიპოვა გამარჯვება, მაგრამ შინ მისული ურჩობისთვის დედის გულისწყრომას ვერ გადაურჩა, რასაც ბოლომდე ვერ დააღწია თავი, რადგან დედა იყო და შვილი სპორტის მძიმე სახეობაში გადამეტებული თავდადებისთვის არ ემეტებოდა 1980 წლის ზამთრის ოლიმპიადის წინ კატეგორიულად დაუსვა საკითხი: აირჩიე, ან ოჯახი, ან სპორტი, არ შეიძლება შვილებს მუდმივად ენატრებოდეო. ამჯერად, უკვე დაუჯერა დედას. თუმცა, არც იმას ნანობს, რაც თავის დროზე ეურჩებოდა, მაშინ ამდენი სპორტული წარმატებები მის გარეშე ჩაივლიდა, თხილამურები მისი ცხოვრების ნაწილი იყო. მაშინ სხვანაირად არ შეეძლო.

მისი სპორტსმენობა თხილამურებზე სრბოლის მსოფლიო ჩემპიონის რაისა სმეტანინას ზეობას დაემთხვა და ცნობილია, რომ მასაც ღირსეულ მეტოქეობას უწევდა. ბაკურიანში შეჯიბრზე აჯობა კიდეც და ხუმრობა გავრცელდა, ვისაც სმეტანინა ჩაუქროლებს, ფილტვების ანთებას მართებს და ჯობია ბაღაშვილმა არ ჩაგიქროლოთ, კიდევ უარესიაო.

უფროსი თაობის ბევრ წარმომადგენელს ახსოვს ის აღფრთოვანება, როცა საბჭოთა ტელევიზიის უმთავრესმა საინფორმაციო გადაცემა „ვრემიამ“ მსოფლიოს სიამაყით ამცნო ნანა ბაღაშვილის მორიგი გამარჯვება საბჭოთა კავშირის მოთხილამურეთა ჩემპიონატზე.

1986 წელს გაერთიანდა რამდენიმე სპორტული საზოგადოება (ბურევესტნიკი, სპარტაკი, განთიადი, კოლმეურნე, ზენიტი, ვოდნიკი) და შეიქმნა ერთი დიდი ორგანიზაცია სახელწოდებით შევარდენი, რომელშიც 3000 ორგანიზაცია შედის. ამ ორგანიზაციის თავმჯდომარედ პირველმა პლენუმმა აირჩია წარსულში ცნობილი სპორტსმენი სათხილამურო რბოლაში, ერთადერთი სპორტის ოსტატი ქალბატონი ნანა ბაღაშვილი.

სპორტიდან წამოსვლის შემდეგ ნანა ბაღაშვილს ხშირად იწვევდნენ სპორტულ ღონისძიებებზე. დღემდე არ ავიწყდება ზოგიერთი მათგანი. მათ შორის, შეხვედრა ამერიკელი მაგნატის და მილიონერის როკფელერის შთამომავალთან და დღემდე ხუმრობის საგანია, ყოფილ ჩემპიონ ქალს როგორ სთავაზობდა უკვე მხცოვანი მეცნიერი ამერიკაში დარჩიო.

ნანა ბაღაშვილი იხსენებს:

— *„ეს ამბავი იმდენჯერ მაქვს მოყოლილი, ალბათ არაფერი გამომრჩება, თორემ ბევრ რამეს ჩემი ცხოვრებიდან არ, ან ვერ ვიხსენებ. ეს იყო 1990 წელი. სიეტლში კეთილი ნების თამაშებზე საკავშირო სპორტსაზოგადოების პროფკავშირების საბჭოდან ერთადერთი წევრი გახლდათ საბჭოთა დელეგაციაში და ასევე ერთადერთი წარმომადგენელი კავკასიიდან და ეს არ იყო პირველი შემთხვევა, რადგან ჩემი თაობის თითქმის ყველა სპორტსმენს ვიცნობდი და ბევრთან ოჯახებით გვქონდა მიმოსვლა, ასევე სხვადასხვა ღონისძიებებზეც ხშირად ვხვდებოდით, მათ შორის, მსოფლიოს ცნობილი სპორტსმენებიც იყვნენ ჩეხი ვლადისლავ რიგლადან, რუსი ვალერი ხარლამოვამდე. ჰოკეისტმა ესპოზიტომ საკუთარი მაისურიც კი მაჩუქა, რაც ძალიან დიდ დაფასებად ითვლებოდა. მოკლედ, სიეტლის თამაშებზე ჩასულები ოჯახებში გაგვანაწილეს. ინგლისური მე არ ვიცოდი, ჩემმა დიასახლისმა რუსული და ვესაუბრებოდით ერთმანეთს ჟესტებით, მიმიკებით, ხელების და ხანდახან ფეხების ქნევითაც. მორიგი სატელეფონო ზარი რომ გაისმა, დერეფანში ვიდექი და ხედს ვათვალიერებდი. მესმის ჩემი დიასახლისის ხმა: ნანა, ნანა „კამონ“. მივხვდი მოდიო, მაგრამ შემდეგ ძლივს გამაგებინა, რომ ტელეფონში მე მკითხულობდნენ.*

რაც მე ვიწვალე, თქვენ ვერ გაგაწვალებთ და გეტყვით, რომ თურმე როკფელერების ოჯახის წევრი მკითხულობდა, რომელმაც სახლში დამპატიჟა, სადაც გაირკვა, რომ ფიზიკოსი ყოფილა, სოხუმში უცხოვრია და ქართული სამზარეულოთი მოხიბლულს ჩახოხბილი მონატრებია და როგორც კი ყური მოუკრავს, რომ სიეტლში ჩამოსულ საბჭოთა დელეგაციაში ქართველი ქალი ურევიაო, უბრძანებია მოვეძებნე. მეტი გაკვირვება, მის სახლში მისულს მელოდა. რა ფარშევანგები და ეგზოტიკა იყო ირგვლივ, ნუ მკითხავთ, აუზში თევზები ირეკლებოდა. გავიკეთე წინსაფარი და ჩახოხბილის გარდა ხინკალი, შქმერული და ხაჭაპურებიც მივაყოლე ზედ. ძვირფასი ღვინო მოგვიტანეს და ქართული ქეიფი უნდა გაგვეჩაღებინა, რომ როკფელერის ოჯახის ტელეფონთან მიხმეს, გთხოვენო. ამაზე ჩემი მასპინძლებიც გადაირივნენ. აღმოჩნდა, რომ ჩემი დიასახლისის შვილს ბექის სახლში ავტომოპასუხეზე ინფორმაცია დაუტოვებია — აქ ვიქნებითო. ასე მომაგნო დელეგაციის ქართველმა ხელმძღვანელმა ნუგზარ ენდელაძემ, სად ხარ, ყველა შენ გეძებთო. რას მეძებთ, როკფელერთან ვქეიფობ-მეთქი. კაცი გადაირია, კინაღამ ენა გადაყლაპა. ასეთი რეაქციის შემდეგ, როგორ არ დაპატიჟებდნენ და მარტო კი არა, მთელი შემადგენლობით მოვიდნენ, ჩვენებურად და ქართულად ისე მოვულიხნეთ, რომ დილის ექვს საათზე დავიშალეთ. ოჯახის პატრონს არ გაკვირვებია, ნასიამოვნები დარჩა, მაგრამ მისი ცოლ-შვილი შოკში ჩავარდნილები დავუტოვეთ.

ამის შემდეგ, დღეში ცხრაჯერ მირეკავდა როკფელერი, მაგრამ ამერიკაში დარჩენაზე ვერ დამითანხმა, ეს იმ დროს უბრალოდ გამორიცხული იყო.

დღემდე მახსოვს მისი ნათქვამი, მსოფლიო შემოვლილი მაქვს, მაგრამ ქართველების გარდა ვერავინ გამაკვირვა უშუალობით და სიკეთით, გულუხვობით და სამზარეულოთი“.

ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პროფესიონალი მწვრთნელის კვალიფიკაცია მიენიჭა. შემდეგ ისტორიული

ფაკულტეტიც დაამთავრა, მაგრამ სპორტული საზოგადოებიდან ფეხი არ მოუცვლია, სადაც 22 ათასამდე წევრი იყო გაერთიანებული, პურპროდუქტების სამინისტროს აგრომრეწვის სახელმწიფო კომიტეტის და ცეკავშირის სიტემაში შემავალი ორგანიზაციებიდან. თავად სპორტულად შემართული, არც სხვებს ასვენებდა და იყო შეჯიბრებები ოჯახებით და ბრიგადებით, იყო სპორტული ჟინი და ცხოვრებაში ღრმად ჩაფლულობის შეგრძნება, წინსვლის გადაულახავი სურვილი, რაც პრესის ყურადღებას იქცევდა.

თხილამურები მხოლოდ მას შემდეგ მიაყუდა კედელს, როცა ოჯახმა და შვილებმა მისგან ასევე წარმოუდგენელი თავგანწირვა, ოღონდ როგორც მშობელს – მოითხოვეს და როგორც კი ერთხელ უარი თქვა თხილამურებზე, მერე მასზე არ შემდგარა, მაგრამ სპორტზე არ უთქვამს უარი. იყო სპორტული საზოგადოების თავმჯდომარე. ბოლოს „ლოკომოტივს“ ხელმძღვანელობდა და მისი სპორტული საზოგადოების ბევრი წევრი ღირსეულად ასპარეზობდა სხვადასხვა სარბიელზე. ამიტომაც იცნობდნენ და აფასებდნენ. მათ შორის, იყო კახა კალაძე.

ჰქონდა სამუშაო, რომელიც უყვარდა. იყო საქართველოს რკინიგზის პროფესიული კავშირის თავმჯდომარე და მაშინდელი მადლიერი ადამიანები დღემდე იხსენებენ და აფასებენ მის ღვაწლს.

ამჟამად, საქართველოს ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფესიულ კავშირში მუშაობს, სადაც ასევე სჭირდება ენერგიულობა და თავდაუზოგავი შრომა. ქალბატონ ნანას დანიელ ხახიაშვილმა ლექსი მიუძღვნა, რაც ონის რაიონულ გაზეთ „განთიადში“ დაიბეჭდა.

ქეთევან ჩემია

* * *

ვუძღვნი ბაკურიანის სპარტაკიადის მონაწილეს,
სპორტის ოსტატს სათხილამურო სპორტში ნანა ბაღაშვილს.

თოვლი მღერის,
თუ ეს მართლა
შენი გულის ხმაურია,
ამდენ თოვლს და
ამ დიდ ზამთარს
უკვალოდ არ ჩაუვლია.
თურმე ისევ
ანცი ხარ და
ისევ თოვლის
დედოფალი.
თოვლზე ისე დასრიალებ,
არც კი გრჩება
თურმე კვალი.
თურმე შენი
თხილამური
ფაფუკ თოვლში
ისე ცურავს,
ისე ცურავს,
ვერ გიღებენ
კინოფირზე
სვლის დროს სურათს.
აქ კი – მთებში
გლოლის მთებში,
შენი კარის მეზობლები
ამ თოვლიან თებერვალშიც,
შენს ამოსვლას
ველოდებით.
ჩქარა, თორემ
ბუბის მწვერვალს
შემოადნა თოვლის თექა,
და ჭანჭახიც
ისე ბორგავს,
თითქოს შენი
გულით ფეთქავს,
გახსოვს? ყავრის
თხილამურებს
აწვალებდი
თოვლში, ნანა,
გამოსროლილ თოვლის გუნდებს
მოგარტყამდა ვინმე განა?
რა შორს დარჩა
ის ბავშვობა,
სიყმაწვილე გარბენილი,
რაც გასწავლა
თურმე შოვმა
თურმე დღესაც არის ტკბილი.
ეგ სისწრაფე,
ეგ ფილტვები,
მოუღლელი მუხლი, მზერა
გლოლის მთებმა
გისახსოვრეს
გამარჯვებად – ასე გვჯერა.
მიტომ შუქად
მოევლინე
წელს დათოვლილ
ბაკურიანს,
შენი დიდი გამარჯვება
ჩვენც გვირგვინად
გვახურია.
რაჭველების მერცხალი ხარ,
გლოლის მთიდან
აფრენილი
ოცნება ხარ, სიმაღლე ხარ,
სიზმარი ხარ, ახდენილი.
თეთრი თოვლის
სიმღერა ხარ.
თუ სიცოცხლის
გაჟრჟოლება?
შეშურდება
ზღაპრულ თეთრონს
თოვლზე შენი გაქროლება.
თოვლის თეთრი
ბილიკები
გსურს რომ ფრთებით
გადაჰფარო,
გამარჯვებას მოგილოცავთ
თხილამურის ჯადოქარო!

დანიელ ხახიაშვილი

***

ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, ხშირად ესიზმრება წელამდე ჩექმებით, ცელოფანდახვევული მარტოდმარტო როგორ მიარღვევს თოვლს გლოლის მთებში და როგორც ყოველთვის დახმარებას არავის სთხოვს... თავად არის საიმედო დედაბოძი.

... შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად და რა კეთილი - ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უძმობდა. უამისოდ თვითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება.

ილია ჭავჭავაძე

ჩვენი სიმბოლოა ყველაზე დიდი ჭადარი საქართველოში, რომელიც დგას ქალაქ თელავის ცენტრში, მის ისტორიულ უბანში „ბატონის ციხე“-სა და „ბატონის წყარო“-ს მიდამოებში, კერძოდ, საქართველოს სახელგანთქმული მეფის, ერეკლე II-ს მონუმენტის წინ. ეს ხე კარგადაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში თავისი ხანდაზმულობითა და სიდიდით, ანუ შეიძლება ითქვას, სიდიადით, რომელიც დაახლოებით 800 წლისაა, სიმაღლით არის 40 მეტრი და მისი გარშემოწერილობა 12 მეტრს აღწევს. ცნობილია, რომ ამ ჭადარს სანახავად სწვევიან დიდი ქართველი მწერლები ილია, აკაკი, ვაჟა და სხვა გამოჩენილი ქართველი, თუ უცხოელი მოღვაწეები. როგორც ადრე, ეს ხე დღესაც მრავალ მნახველს იზიდავს და ხიბლავს თავისი სიდიადითა და სილამაზით.

800 წლოვანი ჭადარი ქ. თელავში

შემთხვევით არაა, რომ გენეოლოგიის სიმბოლიკად სწორედ ეს 800 წლოვანი ჭადარია ქცეული, აღნიშნული იდეის ავტორი კი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რეზო ხუციშვილი გახლავთ. სწორედ ამ ჭადარს წარვუმძღვარებთ წინ იმ დიდებული გვარის ისტორიას, რომელიც ყიფიანების წარმომავლობას ასახავს.

ყიფიანების საგვარეულო

ყიფიანი ერთ-ერთი უძველესი და „უწარჩინებულესი“ გვარია საქართველოში. ყიფი—ამაყს, ზვიადს ნიშნავს, „აზნაურ ყიფიანთა წინაპარნი იყვნენ ძველადვე ყიფთაგანნი, რომელნიცა დაშთა დროსა არჩილ მეფისასა იმარეთს, ოდეს მოვიდა მურვან ყრუ, წელსა ქრისტეს აქეთ 669 და ოდეს მოვიდნენ ქართს, მიუბოძა მეფემან ვახტანგ სურამის მამული და არიან მუნიდგან მცხოვრებნი ქართლში და მოხსენებულ ტრაქტატსა შინა. ამითნი გვარნი რომელნიმე სახლობენ სვანეთსა, ახალციხეს, იმერეთსა და ქართლში“.

ამრიგად, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ყიფიანთა გვარი VII ს-ის მეორე ნახევარში არსებობს. თუმცა, სავარაუდოა, იგი გაცილებით ადრე წარმოშობილიყო.

ხალხური ზეპირსიტყვიერების მიხედვით, ბაგრატ მეფის დროს, სვანეთის სოფელ წვირმში ცხოვრობდა მორკინალი მეომარი გიორგი გოგიაძე, რომელსაც ათასი გაწვრთნილი მეომარი ჰყავდა. მეფეს დასჭირდა გოგიაძის დახმარება, ამიტომ იძულებული გახდა თვითონ ხლებოდა მორკინალ-მეომარს და დახმარება ეთხოვა, რის გამოც მეფემ მას უთხრა: „რა ყიფი-ანი (ამაყი) რამა ხარ!“ — აქედან წარმოიშვა ყიფიანების გვარი. შემდეგში ყოფიანების ნაწილი ლეჩხუმს, ზოგი რაჭას და შორაპნის მაზრაში გადასულან.

ერთ-ერთი ვერსიით ყიფიანები სვანეთშივე გააზნაურებულან. ოცდაათკაციან რაზმს, რომელსაც ყიფიანი მეთაურობდა რაჭის ერისთავს ეახლა და თავშესაფარი თხოვა. ამ დროს იმერეთს მტერი შემოესია, აღნიშნულმა რაზმმა, ყიფიანის ხელმძღვანელობით, გამარჯვება მოიპოვა.

სამხედრო საქმეში წარმატებისათვის, ყაბახსა და ჯირითში სიმარჯვე-სიჩაუქისათვის და კარგი მშვილდოსნობისათვის მეფემ (XVს.) ხვანჭკარის ციხე მდ. ასკასა და რიცეულას შორის მდებარე მიწა-წყალი სვანეთის საზღვრამდე უბოძა. ამასთან, თავადობაც დაუმტკიცა.

როგორც ირკვევა, შემდგომში ყიფიანები რაჭის ცნობილი თავადები გახდნენ და თავიანთი სათავადო „საყიფიანო“ შექმნეს, რომელიც მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე მდ. ასკასა და რიცეულას შორის მდებარეობდა. ასე შეიქმნა „საყიფიანო“, ერთ-ერთ პაწია სათავადო რაჭაში. აქვე ჰქონდაო მათ კარის ეკლესია. „საყიფიანოში“ შედიოდა: პირველი და მეორე ტოლა, პატარა და დადი ჩორჯო, ხვანჭკარა, ბოსტანა და ღვიარა. აღნიშნულ სოფლებში დღესაც ცხოვრობენ. გარდა ამისა, ხვანჭკარელი ყიფიანების იყო ბუგეულის

ჭალები, სადაც დიდი ბაზრობა იმართებოდა.

სხვა გადმოცემით, სისხლის აღების მაძიებელთაგან დევნილი ოთხი ძმა ყიფიანი სვანეთიდან რაჭაში გადმოსულან და ტოლას, ხვანჭკარას, ჩორჯოსა და ჭყვიშს დასახლებულან. თავადობა კი მხოლოდ ხვანჭკარელ და ტოლელ ყიფიანებს მიუღიათ.

ყიფიანები, რომ ტოლა-ხვანჭკარის მეპატრონენი არიან, ეს XVIIIს. საბუთებიდანაც დასტურდება. ირკვევა, რომ ისინი თავიანთ გლეხებს ცოლ-შვილითა და ადგილ-მამულით ნიკორწმინდისა და ჭელიშის მონასტრებს სწირავდნენ.

ცნობილია, აგრეთვე, რომ ყიფიანები თავდადებით იბრძოდნენ იმერეთის სამეფოს გაძლიერებისათვის. სოლომონ I-ისა და სოლომონ II-ის ერთგულ ფიცისკაცთა შორის, ყიფიანებიც მოიხსენიებიან. საქმე ისაა, რომ ფიცისკაცებს დიდი გავლენა ჰქონდათ თვით მეფეზეც. ამდენად, ისინი დიდ როლს თამაშობდნენ ქვეყნის ცხოვრებაში. თუ მეფე ვინმეს „გაუწყრებოდა“, შერისხული ხშირად ფიცისკაცს მიმართავდა. ფიცისკაცთა შუამდგომლობით მეფე დამნაშავეს შეიწყნარებდა ხოლმე, მაგრამ არავის აპატიებდნენ მეფისა და ქვეყნის ღალატს.

ფიცისკაცებს დიდი ერთობა ჰქონდათ, ომის დროს ერთად იბრძოდნენ, ომში ერთად გაწყდებოდნენ, ან ერთად გამოვიდოდნენ. არც დაჭრილს და არც მკვდარს ველზე არ დატოვებდნენ.

საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანების

გამო გამართულ თათბირზე, ერეკლე მეორესთან უმეტესობა ფიცისკაცები იყვნენ.

ყიფიანები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

1806წ. თამაზ ყიფიანს ზვინდართუხუცესის სახელი უჭირავს, პატრიკეთის მოურავიც ყიფიანია.

ყიფიანები რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში, აფხაზეთში და ქართლ-კახეთშიც ცხოვრობენ. სვანეთიდან ისინი საქართველოს რაიონებსა და სოფლებში სხვადასხვა დროს არიან მოსული. ოკრიბაში ყიფიანები XVIს-ის 50-იან წლებში დამკვიდრებულან. აქვე შექმნეს მათ ოკრიბის „საყიფიანო“.

როგორც ირკვევა, ოკრიბელი ყიფიანები მეფის კარის „ტახტისა“ და სათავადო მეციხოვნე (ციხისთავი) აზნაურები იყვნენ. ბედან ყიფიანს ორმოცი კომლი ყმა-გლეხი ჰყავდა სოფელ ბედანში, ადგილ-მამულით, მთა-ბარით, მდინარეებით, ტყით, საძებრით და უძებრით. აქვე ჰქონდათ მათ კარის ეკლესია. ამავე სოფელში გოჩა ყიფიანი 25 კომლ ყმა-გლეხს ფლობდა, ადგილ-მამულით, სანიაოს ქედით, შქერნალითა და ტყით, კარის ეკლესიით.

ტოპონიმების მიხედვით, ოკრიბის „საყიფიანო“-ში შედიოდა: ცხრათავას საუდაბნოს საყდარი, წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, უღელტეხილი, სოფ. კისორეთი ხევითა და ღელით, ცერცვის ხევით და ღელეთი, ლეხიდარს შუა მდებარე ცხრათავის მიწა-წყალი, ძმუისი შავი ღელით, ქვიდმის ხევი ღელით, შუაკვირიკაულა და ქვედიშის თავი სალეკვიას თავამდი. ჩივაძის კარიდამ ნაჭიშკრევამდე (ყიფიანების) სასახლისა იყო; ქვამსხლიანა, სანაიაოს, ქედი საძაღლიამდის, რომელიც ჰყოფს რაჭას ოკრიბისაგან, თხორისა – რაჭაში, ძმუისი – ოკრიბაში; კატისალაგი, მასხულანი, ფანცულეთი, ჯამასპირი, ქუაბის ღელე, ჭოგორეთის დობილო, ყუაუთის დობილო.

ოკრიბელ ყიფიანებს მამულები ჰქონდათ, აგრეთვე: ჯვარიაში, ოჯოლაში, წყნარში, გურნაში, ჭალასთავში, სოჩხეთში, „შიფიეთში“, „მესაში“, შქერნალი, ფელეთი: „კოშკის, საქარას, ჭიშუარასა და წყალშავას შორის მდებარე ადგილ-მამული, რომელიც 60 ქცევას შეადგენდა“.

ბაღდადის რაიონის სოფელ ორჩაში ყიფიანების XVIს-ის ბოლოს, სოფლის იმ მთიან ნაწილში დასახლდნენ, რომელიც ძალიან ჰგავს სვანეთის ზვიად ბუნებას.

ტოპონიმების მიხედვით, ობჩის საყიფიანოში შედიოდა: ყიფიანების მთა, ვაკე, წიფლარი, ნაცერცვალი, აკლდამა, დობელო, ხუტროელი, საჩქეფელა, მთისძირი, ნაწისქვილარი, სარახე, საბასოული, წაბლნარი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ყიფიანების მთის ძირში, ორმუხის მიდამოებში აღმოჩენილია მდიდარი არქეოლოგიური მასალა: თასები, ხალმები, ჯამები, თუნგები, ქვევრები (ლიხის სერზე), სამეურნეო იარაღები, სამკაულები. ორმუხებს ზემოთ არის აკლდამა, რომელიც მოითხოვს არქეოლოგიურ გათხრებს და შესწავლას.

ქალბატონების ალექსანდრა გიორგაძისა და დალი ყიფიანის ოჯახებმა გადმოგვცეს სპილენძისა და კერამიკის თასები, ზეპირსიტყვიერებაში დაცული მასალები.

ხვანჭკარელმა ყიფიანებმა ხანგრძლივი ტექნოლოგიური ძიებისა და ცდების შედეგად, შესანიშნავი სამარკო „ყიფიანის ღვინო“ მიიღეს, რომელმაც სახელი გაითქვა არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთსა და ევროპაში საერთაშორისო ბაზარზე. საერთაშორისო გამოფენაზე „ყიფიანების ღვინომ“ უმაღლესი ჯილდო, გრან-პრი, ორი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი დაიმსახურა. კ. მოდებაძის აზრით, ყიფიანების ღვინის დამზადების ტექნოლოგია ძმებმა ყიფიანებმა შეიმუშავეს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში საფუძვლად დაედო „ხვანჭკარის“, სამრეწველო წარმოებას. „მთელს რაჭაში ყველაზე საუკეთესო თავადი ყიფიანების მიერ წარმოებული წითელი ღვინო იყო. საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო ღვინოს, თავადი „ყიფიანის“ სახელწოდება ჰქონოდა, ამიტომ მას „ხვანჭკარა“ უწოდეს.

ამ შესანიშნავმა გვარმა ბევრი გამოჩენილი მამულიშვილი მისცა ჩვენს სამშობლოს, მათ შორის არიან, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, პუბლიცისტი დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი, რომელიც 1864-70 წლებში ქუთაისის

ნოე ყიფიანი

გუბერნატორი, თავადაზნაურობის წინამძღოლი და თბილისის ქალაქის თავი იყო.

1886წ. თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტმა ლალიაშვილმა მოკლა ამ სასწავლებლის დირექტორი ჩუდეცკი. ამის გამო, საქართველოს ეგზარხოსმა პავლე ლებედევმა დასწყევლა ქართველი ერი. დიმიტრი ყიფიანმა ეგზარხოზსს საქართველოს დატოვება მოსთხოვა, რისთვისაც იგი სტავროპოლში გადაასახლეს და მეფის რუსეთის აგენტებმა ვერაგულად მოკლეს. დ. ყიფიანის მოღვაწეობა ქართველი ერისადმი სანიმუშო სამსახურისა და თავდადების შესანიშავი ნიმუშია. მთელი მისი სიცოცხლე და მოღვაწეობა იმის მაგალითია, თუ როგორი თავდადებით და შეუპოვრობით უნდა იბრძოდეს ქართველი კაცი თავისი ერის თავისუფლებისათვის, მისი წინსვლისათვის.

დ. ყიფიანის პრაქტიკული საქმიანობა და მისი ნააზრევი აწრთობდა და აწრთობს მთელ თაობებს, უნერგავს შეუდრეკელ სულს და ხასიათს, აძლიერებს ეროვნული სიამაყის გრძნობას, აღრმავებს ეროვნულ თვითშეგნებას და ერის არსებობის სულიერ საფუძველს — ქართველების ეროვნულ კონსოლიდაციას, რაც ჰაერივით გვჭირდება დღესაც. დ. ყიფიანი იყო „კაცი ბრძენი, პატიოსანი, მხნე, გულადი, კაცი მარადჟამს, თავგანწირული სამშობლო ქვეყნისათვის“.

პირველი ქართველი ფსიქოფიზიოლოგი ქალი, საზოგადო მოღვაწე, დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი, ბარბარე ნიკოლოზის ასული ყიფიანი, რომელმაც დაამთავრა ბრიუსელის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და აქვე კითხულობდა ლექციებს, შეაგროვა და გადაარჩინა ქართული კულტურის მრავალი განძი, მათ შორის, დადიანებისა და მიურატების ქონება და მათი უცხოეთის არქივები.

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, მეცნიერმა და მკვლევარმა, პროფესორმა ნოე მანუჩარის ძე ყიფიანმა სწავლა-განათლება — ბრიუსელისა და სორბონის უნივერსიტეტებში მიიღო. საკვალიფიკაციო ნაშრომები მოამზადა აკადემიკოს ალფრედ ლაკრუასთან, მინერალოგია — პეტროგრაფიაში, ემილ ჰუგოსთან — გეოლოგიაში.

1915 წ. ნოე ყიფიანი აკადემიკოს ნ. ანდრუსოვის წარდგენით, დაინიშნა კავკასიის მუზეუმის გეოლოგიის განყოფილების გამგედ, ხოლო 1918 წ. სამეცნიერო საბჭომ აირჩია ამავე მუზეუმის პირველ რექტორად. პარალელურად მიწვეულ იქნა უნივერსიტეტში გეოლოგიის კათედრის გამგედ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში — პეტროგრაფია – გეოლოგიის ხელმძღვანელად, სახელმწიფო აგროინსტიტუტში — მინერალოგია-გეოლოგიის კათედრის გამგედ, სოხუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტში – გეოლოგიის კათედრის გამგედ, ბათუმის პედინსტიტუტში – გეოლოგიის კათედრის გამგედ.

ნოე ყიფიანი იყო პირველი გეოლოგ-პეტროგრაფი, რომელმაც შექმნა და გამოაქვეყნა ისეთი უნიკალური ნაშრომები, როგორიცაა: „სამხრეთ სვანეთის გეოლოგიური აღწერა“, „გეოლოგიური კვლევა გურიაში“, „ლაზისტანის გეოლოგიური გამოკვლევა“, „საჩინოს გეოლოგია“, „დას. საქართველოს გეოლოგიური მასალები“, „მდ. რიონის ხეობის ჰიდროგეოლოგია“, „ჭიათურის გეოლოგიური გამოკვლევა“ და მრავალი სხვა.

ნ. ყიფიანმა 1936-1945 წწ. აღმოაჩინა ქვის მასალის საბადოები: თაბაშირის, თიხების, კირქვების, ქვიშის, რომელთა ბაზარზე მძლავრი წარმოება გაიმართა, მოამზადა ლაზისტანისა და შავი ზღვის სანაპირო და სხვა.

/გაგრძელება შემდეგ ნომერში/

განცხადება

გურამ და ნანული ბერიშვილებს სამძიმარს ვუცხადებთ შვილის, ზურაბ ბერიშვილის გარდაცვალების გამო.

რედაქცია

„არ წაშლილა ბარაკონთან. ნატეხფალი თამარის“

ბეჟან მღვდელაძე დაიბადა 1957 წლის 18 მაისს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ღადიშში პედაგოგების ოჯახში. 1973 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ჭრებალოს საშუალო სკოლა, ხოლო 1978 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი, სპეციალობით ეკონომიკური კიბერნეტიკა. ამავე პერიოდიდან საქმიანობს ქ. ქუთაისში. მუშაობდა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლით ცენტრში და უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე, ეკონომიკის ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალში, ქუთაისის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში. იყო ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის უფროსი, ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატის უფროსი, შპს „ფარის“ დირექტორი. ამჟამად, ბატონი ბეჟანი შპს „იმერეთმშენის“ ეკონომისტია.

ბეჟან მღვდელაძე შვიდი წიგნის ავტორი და 5 წიგნის თანაავტორია: ***„საფრანგეთი: ადგილობრივი მმართველობა, ეკონომიკა, გადასახადები“ (1997), „დიდი მირაჟი“ (2001), „თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა“ (2002), „ქვემო რაჭის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ (2007), „შემოქმედება“ (2011), „გულის ნაჟური“ (2012).***

ბეჟან მღვდელაძემ ორი პოეტური კრებული გამოსცა.

ბატონი ბეჟანი ამავე დროს არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა და საგაზეთო პუბლიკაციის ავტორი.

2000 წლიდან არჩეულია საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

ვერნისაჟი

შაორს როცა გავუყვები,
არც მეტი და არც ნაკლები:
მთელი თავის სიდიადით,
თვალწინ ჩნდება რაჭის მთები.

ბუმბერაზი, იდუმალი,
მწვანე, ლურჯი, თეთრი მთები,
ბევრს რო დაუყენა თვალი,
რის ტატრები, რა ალპები?!

ღრუბელი რო ვარდისფრდება
მაისში და ოქტომბერში,
ვერაფერი შეედრება
მზის ამოსვლას ამ მხარეში.

სხვაგან არსად არ მინახავს
ამნაირი ჰეიზაჟი,
ხელთუქმნელი გამოფენა,
ბუნებრივი ვერნისაჟი.

2012წ.

ბაბუა მველ ვენახში

ძველ ვენახში, ძველ ღობესთან, ხარდანს
მახვავს ჰავლე,
ორკეცად ზის, მოწყენილი, სამფეხიან სკამზე.

ახლოში ჩანს დიოფალა, დეგტიხე კი - შორით,
ნება-ნება წრუპავს ღვინოს ლიტრიანი დოქით.

გულიანად გამოკვერავს გრძელტარიან ცელს,
ნელ-ნელა აამოძრავებს დაბუჟებულ ხელს.

მზეს აცილებს ჩაგორებულს, ელოდება ღამეს,
თან ღიღინებს სევდიანად მილიონჯერ ნამღერს:

„მიკიტანო, მიკიტანო, ჩამოასხი ტიკიდანო,
ნუ გვონია, ფულს არ მოგცემ
დაგლეჯილი ჯიბიდანო“.

2011წ.

რაჭა, ღადიში

ღადიში ჩემი ადგილის დედაა,
ულამაზესი სოფელი მთელს დუნიაზე.

ცის კამარაზე - მორონინე ქორის ირაო,
ცაცხვების ძირას - ძველთაძველი ქვა საჯილდაო.

ირგვლივ მთები - ვეება და იდუმალი მთები,
საუკუნის ურთხელები, მარადმწვანე ბზები.

აგერ ხვარგი, იქით - სოჩბი, ხვლიკისფერი ხვამლი,
დვალიკარზე იზლაზნება ნეშოს თეთრი კვამლი.

ბუჯულიას წისქვილი და ცხვირს შეერილი მინდი,
ორღობეში - გულაბი და ოდნავ მლაშე შინდი.

მქავე წეალი, ნაციხვარა, მოკამკამე აფანტა,
კურდღელი გადააშენა გოგინიკას საფანტმა...

დიოფალას ასხლეტილი მოჯახჯახე შაშვი,
კოდისწეალზე - შალიკო და მისი სამი ბავშვი.

უტკბილესი წვრილი ჭკუტა, კაცითავა მსხალი,
კოსტალიკას მუშა ვირი, კარლოს ნიშა ხარი.

დეგლიხიდან - კოხტა რაჭა, შორს სავალი გზები,
გაფრენილი სიუმაწვილე... დამღლელი ფიქრები...

ირგვლივ მთები - ზვიადი და იდუმალი მთები,
გულმზიანი რაჭველები... ოცნება-სიზმრები...

2011წ.

რაჭა

რაჭა - ჩემი სიყვარული, საამური სიზმარი,
არ წაშლილა ბარაკონთან ნატერფალი თამარის,
ბავშვობაში, ცაცხვის ძირას - დიდებული ოჩხარი,
რაჭა - ჩემი სიყვარული, საამური სიზმარი.

ხელთუქმნელი ნიკორწმინდა, მოგუგუნე რიონი,
ირგვლივ მთები, ბუმბერაზი მთები კავკასიონის,
რაჭა - ჩემი სიყვარული, საამური სიზმარი,
არ წაშლილა ბარაკონთან ნატერფალი თამარის.

2011წ.

მირაჟი

ახლაც ბრწყინავს დიდგორი,
ახლაც კვნესის კრწანისი,
ახლაც ლოცავს ივერიას
ანგელოსი ეინწვისის.

ისევ მძლავრობს ბასიანი,
ისევ ბორგავს შამქორი,
გარნისს ხმალი გადაიმსხვრა
გმირი შალვას ნაქონი.

დღესაც ზეობს ტაშიკარი,
დღესაც გმინავს მარაბდა,
ხარბი ჯვრიტით უმზერს გვანცას
უჰეწვრილი ჩაღატარ.

ახლაც გოდებს ქართველის დედა, -
ახლაც მზაკვრობს სიკვდილი,
ახლაც მწარედ გვიწვავს ღაწვებს
ბაზალეთის სირცხვილი.

ეოვლადწმინდის დიდი მადლით
მზე დაგვნათის - მხურვალე,
სახელმწიფოს ადუღაბებს
მძლე გიორგი ბრწყინვალე.

ზღაპრულ ჰანგებს გვიგალობენ
რუსთაველი, აკაკი,
მინიშნებებს უხვად გვაძლევს
სულხან-საბას არაკი.

უქარქაშო ხმლები სთვლემენ,
გვესმის გმირთა ვარამი...
ნაჯარმაგევს ტახტზე ადის
დედოფალი თამარი...

2013წ.

ქუთაისი

საქართველოს საამაყო მამა-ქალაქს
არ გაკლია მგოსანი და მეხოტბე,
მაგრამ მე ვინ დამიშალა, ძირძველო,
ჩემებურად, გულიანად გეტფოდე?

თავს იწონებ მუდამ ნაღდი მასპინძლობით.
მეცხოვნევ ქართული წეს-ადათის,
გეფერება გელათი და მოწამეთა,
დიადემად გადგას ძველი ბაგრატი.

ზეწს გმატებენ შენს უბნებში მორიალე ვაჟები
და კეკლუცი გოგონები - სახელიმილიანი,
იმერ-ამერს ახალისებს იუმორი ცინცხალი
ომარ ქელბაქიანის და იმელს ჟორჟოლიანის.

განთიადზე შემოგვცინებს მზე ნათელი,
გვიან ღამით შუქს გფენს მთვარე მთოვარი,
ქუთათურთა სათაყვანო ბაღისკიდეს
ადღეგრძელებს სამი დიდი ოთარი!

2011წ.

* * *

მზე, რომ მზეობდა წუთისოფელში,
სხივი რო კრთოდა ოქროს დაისში,
სწორედ იმხანად, სწორედ იმ წელში,
დავბადებულვარ, თურმე, მაისში...

სულ თვალწინ მიდგას: ბებერ ბუხარში
ნეკერჩხალის ცეცხლის აგიზგიზება,
სახლის დირეზე მიდგმულ ბუდეში –
კუდმაკრატელას აჭიკჭიკება.

მახსოვს: ნისლების მოსვლა ცაცხვებში,
თეთრი ვერხვების აშრიალება,
ბულბულის სტვენა ჩემს წუნარ ბჟოლებში,
ცისკრის ვარსკვლავის აკიაფება...

2013წ.

ხატაურა მირაჟი

თეთრი გოგო ხელებს ანცად მიქნევს,
დალივლივებს ჰურის ყანის ზღვაში,
კისკისებს და თაველებში მიწვევს,
გვირილები ჩაუწნია თმაში...

ვერ ველევი მაცდუნებელ სიზმარს,
სურვილი მკლავს, გავაგრძელო დიდხანს...
ცის ტატნობზე ხატაურა მირაჟს
თიბათვის მზე საიმედოდ იცავს...

2002წ.

შვილიშვილებს

თქვენთან ზაფხულია,
ზამთრისპირი - ჩემთან,
თქვენთან აისია,
ჩემთან ფოთოლცვენა.

თქვენი ცა ლურჯია,
ჩემი - ღრუბლისფერი,
თქვენთან ივნისია,
ჩემთან ნოემბერი.

დიდება მაღალ ღმერთს,
რომ გხედავთ: ჯანსაღებს,
ძირძველ ჯიშს და გენს,
კუდრაჭებს, ლამაზებს.

თქვენ ხართ მომავალი,
მე კი - წარმავალი,
მინდა, დიდხანს ვიყო
თქვენი ორთქმავალი.

თქვენთან ზაფხულია,
ზამთრისპირი - ჩემთან,
თქვენთან აისია,
ჩემთან - ფოთოცვენა.

2011წ.

ო, ენავ ბევრო...

მე–19 საუკუნე, რუსეთის იმპერიის რეფორმები და რეპრესიები, ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა — ქართული გენისა და თვითშეგნების გადაგვარებას. სკოლებში ქართული ენის ხსენებაც კი აიკრძალა, არისტოკრატია ქართულად ხმის ამოღებას ერიდებოდა, ეგრეთწოდებული ინტელიგენცია კი რუსულად აზროვნებდა. ქართული ენის შესასწავლად მხოლოდ ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა, ისტორიასა და გეოგრაფიას კი საერთოდ ვინ დაგიდევდათ.

მოწინავე ახალგაზრდობამ რუსეთის გეგმებს მამული, ენისა და სარწმუნოების ცნება დაუპირისპირა. ღვთის წყალობა იყო ალბათ ამდენი სახელგანთქმული საზოგადო მოღვაწე, რომელთაც ქართველობის თვითმყოფადობის შენარჩუნება–გაძლიერებას დაუდეს სადავე.

იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენა" შექმნამდე ოცი წლით ადრე, 1865 წელს, შეადგინა „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი „მოსწავლეებისთვის". დიდმა პედაგოგმა წიგნს „დედა ენა" 1876 წელს დაარქვა. ოცწლიანი მეთოდოლოგიური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური დახვეწის შემდეგ, 1876 წელს, მან გამოსცა ქართული ენის ორიგინალური სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლებისათვის – „დედა ენა".

წიგნში განსაკუთრებული ყურადღება საყმაწვილო სახელმძღვანელოს მორალურ, ზნეობრივ და პატრიოტულ კრიტერიუმებს დაეთმო. ავტორი თითეულ სიტყვას, ყმაწვილთათვის შესათავაზებელ მოთხრობასა თუ ლექსში, სათუთად აზუსტებდა, ხვეწდა მეთოდურ ნიუანსებს, რომ მარტივიდან რთულისკენ სვლა ბუნებრივი, სასურველი და სახალისო ყოფილიყო. თითეული ასოს მოხაზულობა საყოველთაო განხილვის საგანი იყო და ყოველი სიახლე უძველეს ქართულ მწიგნობრულ გამოცდილებას ეფუძნებოდა. „დედა–ენა" ერთ–ერთი რჩეული საგანძურია ქართველი ერისათვის. „დედა ენის" არსებობა ერის არსებობას ნიშნავს, ენის სიცოცხლე – ერის სიცოცხლეს.

„დედა ენის“ წარმატების საიდუმლო

„დედა ენის“ წარმატებას და პოპულარიზაცია განაპირობა წიგნში ჩადებულმა მაღალმა დიდა-ქტიკურ-მეთოდიკურმა პრინციპებმა, რომელიც განმსჭვალულია ხალხურობის სულისკვეთებით. „დედა ენაში” ჩადებულია ფსიქოლოგიური საფუ-ძველი, რომელიც, მოგვიანებით, დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიაში“ ჩამოყალიბდა და მსოფლიო აღიარება მოიპოვა. იაკობ გოგებაშვილი ბავშვებში შეუცნობელის შეცნობის წყურვილს აღვივებდა და ქართული ანბანის შესასწავლად განაწყობდა.

„დედა ენის“ პირვანდელ პუბლიკაციაში მოცე-მულია ორი წლის კურსის მასალა. წერა-კითხვა ისწავლება ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთო-დით. 1906 წლიდან „დედა ენა“ 2 წიგნად გამოდის: პირველში, მოთავსებულია წერა-კითხვის შესასწავლი მასალა, მეორეში — საყმაწვილო მხატვრული თხზულებები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები და საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგრაფიული შინაარსის მეცნიერულ-პოპუ-ლარული სტატიები. წიგნი სრულყოფილად ითვა-ლისწინებს პატარების ცნობისმოყვარეობას, ხასიათს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვალსაჩინოებას და ცნობადიდან უცნობისკენ შეგნებულ სვლას. და *მაინც, როგორ შეიქმნა „დედა ენა“? როგორც თავად იაკობი ამბობს: „დიდი სიხარულით მივეცით პირველი ადგილი სიტყვას „ია“. რადა? იმიტომ, რომ ანბანის სწავლის დაწყებისათვის მეტად მოხერხებული სიტყვაა და ბევრი ღირსება აქვს. პირველი ღირსება ის გახლავთ, რომ ეს სიტყვა შედგება ორის ხმოვნის ასოსაგან, რომელიც გამოსათქმელად ადვილნი არიან, დასაწერად არა ძნელნი და შემდეგი გაკვე-თილებისათვისაც ფრიად საჭირონი, რადგანაც ამ ასოების შემწეობით ადვილად სდგება სიტყვები და ფრაზები და უამათოდ კი მათი შედგენა შეუძლებელი იქნებოდა. მეორე ღირსება ის არის, რომ მარტო ამ ორის ასოების შემწეობით ადვილად სდგება ორი სიტ-ყვა და მათგან ფრაზა. ამის გამო, ბავშვი პირველსავე გაკვეთილიდან სწავლობს არა მარტო ორ ხმოვანსა და ასოსა, არამედ მაშინვე ჰკითხულობს სიტყვებს და ფრაზას, ამ ასოებისგან შემდგრას. ამის გამო, ეს უძვირფასესი რამ არის ანბანის დაწყებისათვის. ბევრი ენა მოკლებულია ამ გვარს მოხერხებულ სიტყვას...“*

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის” ყოველმხრივ სრულყოფილებაზე ისიც მიუთითებს, რომ თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგაც თანამედროვე ”დედა ენა” ამ დიდი მოღვაწის მიერ შედგენილი სახელ-მძღვანელოს პრინციპებს ემყარება. საანბანე ნაწი-ლის აგების პრინციპი, წიგნის თემატური მხარე იყო საფუძველი იმისა, რომ 1960 წელს ვენესუელის ქალაქ კარაკასში გამართულ მსოფლიო ენების საანბანე სახელმძღვანელოების საერთაშორისო გამო-ფენა-კონკურსზე იაკობის „დედა ენის“ მიხედვით შედგენილმა სახელმძღვანელომ, პირველი პრემია და საპატიო მედალი დაიმსახურა.

უზნაძისეული „განწყობის თეორია“

ადამიანის ნებისმიერი ქცევის განმაპირობებელი არის განწყობა. ის არის არაცნობიერის მოვლენა, ანუ მისი აღმოცენება ფსიქიკაში არაცნობიერი პროცესების გავლენით ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს არ გააჩნია მისი ცნობიერი და ნებელობითი კონტროლის უნარი. ნებისმიერ ქცევას, უზნაძის მიხედვით, აუცილებლად წინ უსწრებს განწყობის აღმოცენება. იმისათვის, რომ აღმოცენდეს ქცევა და შესაბამისად, ამ ქცევის ადეკვატური განწყობა, საჭიროა, არსებობდეს მოთხოვნილება (რომელსაც მომავალი ქცევის საშუალებით დავიკმაყოფილებთ) და სიტუაცია, რომელიც მოიცავს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფაქტორებს.

განწყობა არის ფსიქოფიზიკური მზაობის მდგომარეობა. შესაბამისი განწყობის არსებობის გარეშე ადამიანი ვერაფერს გააკეთებდა, ყველა ფსიქიკურ პროცესს, ყველა ჩვენს ქცევას განწყობა ამოძრავებს და აძლევს მიმართულებას. როგორც აღვნიშნეთ, განწყობა არაცნობიერია. იგი შედგება სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებისაგან. სუბიექტურ ფაქტორს განეკუთვნება მოთხოვნილება; ობიექტურ ფაქტორს განეკუთვნება სიტუაცია, ის გარემო, რომელშიც ადამიანი არსებობს და რომელშიც იგულისხმება ის ობიექტი, რომელიც ადამიანს მოთხოვნილებას დაუკმაყოფილებს. ანუ, ჩნდება მოთხოვნილება, ჩნდება ობიექტი, საშუალება, რომლითაც მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეიძ-ლება. ამ ორის ურთიერთქმედებით წარმოიქმნება განწყობა, რომელიც ფსიქიკურ პროცესებს ისე წარმართავს, რომ ადამიანი ამ ობიექტს დაეუფლება. მაგალითად, ადამიანს თუ შია და მაგიდაზე არის პური, იქმნება განწყობა, გარკვეული შინაგანი მზაობა, რომ ადამიანმა აიღოს ეს პური და შეჭამოს. განწყობა აძლევს ადამიანს ძალას და საშუალებას, რომ ეს გააკეთოს, ანუ განწყობა მომართავს, ამზადებს ადამიანს ამისათვის.

უზნაძის „განწყობის თეორეიის“ ბანალური მაგალითი: ადამიანმა რომ წყლის დალევის ქცევა განახორციელოს, ამისათვის საჭიროა, გააჩნდეს შესაბამისი მოთხოვნილება და ამავე დროს იმყოფებოდეს გარემოში, რომელიც მისი მოთხოვნილების ობიექტის შემცველია, ანუ წყალი უნდა დაინახოს. მხოლოდ მაშინ შეექმნება ადამიანს წყლის დალევის განწყობა და ის განახორციელებს წყლის დალევის ქცევას.

„განწყობის თეორიის“ მიხედვით, თუ ადამიანს ან საზოგადოებას შეუქმნი რაიმე მოთხოვნილებას და ჩააყენებ ისეთ სიტუაციაში, რომ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება – განწყობაც გაჩნდება.

14 აპრილი - არა მხოლოდ „დედა ენის“ დღე

გასული საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ ბოლშევიკურმა რეჟიმმა მოახერხა ქართული საპროტესტო მუხტის შესუსტება და გარკვეულწილად, მისი ჩარჩოებში მოქცევა, თუმცა იყო მასიური რეპრესიები, ომი და მძიმე მატერიალური პრობლემები. შემდეგ კვლავ იწყება შინაგანი დუღილი და მისი გარეთ გადმოფრქვევის საბაბიც ჩნდება - 1956 წლის მარტი საქართველოში ბევრისთვის ეროვნულ შეურაცხყოფად იქნა აღქმული, ათეული წლების მანძილზე მსოფლიოში ქართული გენის გამონათებად აღიარებული სტალინის პიროვნების განქიქება და მანამდე კი ბერიას დღემდე ბურუსით მოცული ფიზიკური ლიკვიდაცია.

1956 წლის 9 მარტის ტრაგედია

ნიკიტა ხრუშოვის მოხსენება „სტალინის პიროვნების კულტის შესახებ, მიღებულ იქნა მორიგ უსამართლო მცდელობად, რუსული იმპერიის საუკუნოვანი ცოდვები ქართული ხასიათის სისასტიკისთვის გადაებრალებინათ. 9 მარტის მოვლენები ქართველი ახალგაზრდობის პირველი ძლიერი გაუცნობიერებელი საპროტესტო ამბოხი იყო. ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი ბოროტების წინააღმდეგ, რომელსაც ასევე გაუცნობიერებლად ათობით გულწრფელი ჭაბუკისა და ქალიშვილის სიცოცხლე შეეწირა. მაგრამ 9 მარტს მთვლემარე ქართული საზოგადოების გამოღვიძება დაიწყო.

ამ დღეს ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ გულანთებული ქართველი ახალგაზრდები და ამ ვითარებისთვის თბილისში სპეციალურად შემოყვანილი რუსული განსაკუთრებული დანაყოფები, რომლებმაც მაშინდელი კავშირგაბმულობის შენობიდან ცეცხლი გაუხსნეს მათ მიმართულებით მიმავალ უიარაღო კოლონას და ადგილზე დახვრიტეს და დაჭრეს ასობით უდანაშაულო ადამიანი. საზღვარი არ ჰქონდა თვითმხილველთა გაოცებას - რუსთაველის პროსპექტზე მოთარეშე ტანკების კაბინებში უსუსურ მდგომარეობაში აღმოჩენილი რუსი ჯარისკაცები ვერაფერს უხერხებდნენ თანამოძმეთა დაღუპვით გამძვინვარებულ და მათ ჯავშან-მანქანებზე ამხედრებულ ახალგაზრდებს.

ათეული წლები გაატარეს თაობებმა საკუთარ თავთან ტკივილიან ჭიდილში, რადგან ჭირდა ძველ ფასეულობათა ახლებურად გააზრება. ინფორმაციული ველი მწირი და ბევრ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი იყო. ქართული ინტელიგენციის და სტუდენტი ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილში თანდათან გაძლიერდა დასავლური ღირებულებებისადმი ლტოლვა. დაიწყო ანტისაბჭოთა ხასიათის ფურცლების გავრცელება და არალეგალური ჟურნალების გამოცემა. შეიქმნა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ჰელსინკის ჯგუფი. რეალურად დაიწყო ჩამოყალიბება ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ.

კრემლმა ყველაფერი დასავლეთის პროპაგანდას დააბრალა, ხოლო ქართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ძალები შეფასდნენ როგორც დასავლეთის იმპერიალისტური პოლიტიკის ყველაზე საშიში გამტარებლები, მიმართული საბჭოთა კავშირის შესუსტებისა და დაშლისკენ. მოსკოვის მიერ ასეთი დასკვნის შესაბამისად სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სათანადო ოპერატიულ მიმართულებას, რომელსაც ევალებოდა მთავარი მოწინააღმდეგის იდეოლოგიურ დივერსიებთან, ანტისაბჭოთა და ნაციონალისტურ გამოვლენებთან ბრძოლა,

დაევალა აემოქმედებინა მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა ერთი მხრივ, ეროვნულ ლიდერებს არ მისცემოდათ საშუალება აეყოლიებინათ მოსახლეობა, ხოლო მეორე მხრივ, განმანთავისუფლებელი მოძრაობის გადამდები მუხტი არ გავრცელებულიყო სხვა რესპუბლიკებში.

საბჭოთა იმპერია იძულებული გახდა ხალხისათვის დაეთმო და საბოლოოდ, ჩანაწერი კონსტიტუციაში, რომ საქართველოს სსრ-ს სახელმწიფო ენა იყო ქართული, უცვლელი დატოვა.

სწორედ იმ პერიოდს, როდესაც დაპატიმრებული იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, ხოლო სტუდენტობის არალეგალური ჯგუფი ავრცელებდა პროკლამაციებს მათი განთავისუფლების მოთხოვნით, ემთხვევა კრემლის მცდელობა, კონსტიტუციიდან ამოეღო საგანგებო მუხლი, რომლითაც ქართულ ენას სახელმწიფოებრივი სტატუსი ენიჭებოდა. 1978 წლის 14 აპრილს ქართული საზოგადოება, პირველ რიგში, ინტელიგენციის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით თბილისის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტობა და წარმოება-დაწესებულებების ახალგაზრდობა გაერთიანდა ქართული ენის სტატუსის დასაცავად. როგორც ცნობილია, ათასობით მოქალაქის საპროტესტო გამოსვლამ, რომელთა მოთხოვნას ფარულად არაერთი პარტიული ფუნქციონერი თანაუგრძნობდა, თავისი შედეგი გამოიღო. ეს იყო უპრეცენდენტო შემთხვევა, როდესაც საბჭოთა იმპერია იძულებული გახდა ხალხისათვის დაეთმო და საბოლოოდ, ჩანაწერი კონსტიტუციაში, რომ საქართველოს სსრ-ს სახელმწიფო ენა იყო ქართული, უცვლელი დატოვა.

დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც საპროტესტო გამოსვლები და მიტინგები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, შეიძლება ბევრისთვის გაზვიადებულადაც კი ჩანდეს ქართული ენის დასაცავად ჩატარებული მრავალათასიანი აქციის მნიშვნელობა. მაგრამ ამ ერთი შეხედვით ძალიან მშვიდობიანმა, მჯდომარე აქციამ, კრემლი კიდევ ერთხელ დაარწმუნა თბილისში 1956 წლის ცნობილი გამოსვლების შემდეგ, რომ არ არსებობდა ძალა, რომელიც ქართველ ხალხს გატეხდა და საბოლოოდ დააჩოქებდა. ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რომ ქართველები არ შეეგუებოდნენ დიქტატსა და რუსულ ჩექმას, რომელიც, სხვათა შორის, არც არასოდეს გაიგივებულა რუს ხალხთან და რუსულ კულტურასთან. 1978 წლის გამოსვლებმა ასევე აჩვენეს ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, რომ იმპერიის წინააღმდეგ წარმოებულ უთანასწორო და ხანგრძლივ ბრძოლაში, ყველაზე რთულ და საჭირო მომენტში ქართველი ხალხი მათ გვერდით დადგებოდა. ასეც მოხდა, მართალია ბევრი გამორჩეული ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერი შეეწირა კიდეც ხსენებულ უთანასწორო ბრძოლას, მაგრამ ამ თავგანწირვის ფასად და ქართველი ხალხის ერთსულოვნების შედეგად, ახდენილი იქნა ქართველი კაცის სანუკვარი ოცნება — **საქართველო განთავისუფლდა იმპერიის მარწუხებისაგან და აღდგა მისი დამოუკიდებლობა.** ასე, რომ 14 აპრილი არა მარტო ქართული ენის დღეა, არამედ ჩემი ღრმა რწმენით, ამ დღემ 80-იან წლებში დასაბამი მისცა ეროვნული მოძრაობის საერთო სახალხო მოძრაობად ჩამოყალიბებას.

თბილისის სპორტკომპლექს არენაში დასრულდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკებს შორის.

მირიან მაისურაძემ

76 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა და საქართველოს ჩემპიონი გახდა. ვულოცავთ მირიანს, მის ოჯახს, მწრთვნელებს და მრავალ წარმატებულ ასპარეზობას ვუსურვებთ.

მოგინოდებთ! – ნუ დავაბინძურებთ დედაენის სალაროს, სწორი მეტყველების უპირველეს მასწავლებელს – ქართულ მწერლობას.

„ენა საღვთო რამ არის, მაგას კაცი ცოდვილი სულით არ უნდა შეეხოს“
ილია ჭავჭავაძე

კაცობრიობის, საერთოდ, ცივილიზაციის ისტორია ნათელი დასტურია იმისა, რომ ენა ყველაზე წმინდა საუნჯეა. მართლაც, ენაზე ძვირფასი და წმინდა ძნელად რომ კაცს რაიმე მოეძევებოდეს. ენა ხალხის წიაღში შექმნილი, უხსოვარი დროიდან მრავალი თაობის რუდუნებისა და უსაზღვრო სიყვარულით ნასაზრდოები ფენომენია, რომელშიც გაცხადებულია ერის სულიერი და მატერიალური ცხოვრების ისტორია.

საუკუნეთა მოწამე ქართული ენა მრავალჟამიერ იდგა ქართველი კაცის სამსახურში, არ სცილდებოდა მას და მასთან ერთად ზეიმობდა ერის გამთლიანებას. მტერი ვერ იტანდა ამ ზეიმს და ჭრიდნენ და ჭრიდნენ საქართველოს სხეულს, თუმცა ქართული ენა უცვლელი რჩებოდა. და მაინც, ენასაც შეეხო ცოდვილი ხელი. ზოგჯერ ნებსით და ზოგჯერ უნებლიეთ, გვავიწყდება, რომ „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების.“ ყოველი შეგნებული მოქალაქე მოვალეა ,დიახ, მოვალე, თავისი ენა კულტად გაიხადოს და მისი ცოდნა–შესწავლა უპირველეს საქმედ გადააქციოს.

ვის შევჩივლოთ ან ვის გადავაბრალოთ, რომ ჩვენი ენა აგრერიგად შეურაცხყოფილი და დამცირებულია? სხვას ვერ დავადანაშაულებთ! ეს თითოეული ჩვენგანის ბრალია. დღემდე ისე მოვაღწიეთ, რომ ენის სიწმინდე ვერა და ვერ იქცა საყოველთაო ზრუნვის საგნად. პარადოქსია, მაგრამ სიტყვის თავისუფლებამ დააკნინა დედა ენა. დაუდევარი დამოკიდებულება ენის მიმართ, გაღარიბებული ლექსიკა და მიუტევებელი გრამატიკული შეცდომები ყველაზე თვალსაჩინოდ ტელეეკრანებიდან ფიქსირდება. ტელევიზიამ და ინტერნეტმა დღეს უდიდესი ძალა შეიძინა. ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, – ის კიდეც აგვაშენებს და კიდევაც დაგვამხობს. ტელეჟურნალისტის ოპერატიულობა, დაჟინებულობა და ზოგჯერ თავხედობაც კი, შეიძლება ხანდახან გამართლებულიც იყოს, მაგრამ უცოდინარობას რაღა ეშველება?! გამოუსწორებელი ზიანი ადგება ჩვენს ყოფით კულტურას, ტრადიციულ ქართულ მეტყველებას.

ახალმა რეალობამ და ახალმა მიმართულებებმა უცხო ტერმინოლოგიას ფართო გასაქანი მისცა ჩვენს სინამდვილეში. უცხო ლექსიკის, ძირითადად ინგლისურის, ე.წ. „ფრანგლეზების“ მოძალებამ ისეთი დიდი ქვეყანაც კი შეაშფოთა, როგორიც საფრანგეთია. ქუჩებში წარწერებსა და გარე რეკლამებს რომ გადახედოთ, ვერ გაიგებთ, რომელი ქვეყნის ქალაქში იმყოფებით. ამ საკითხის რეგულირებაც საჭიროა და, შესაბამისად, მასაც სახელმწიფო ენის ინსპექცია უნდა აკონტროლებდეს.

და ბოლოს, მშობლიური ენის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსი.

შეცდომების გასწორება

2016 წლის „რაჭველებში“ N3 (77) — გივი სიხარულიძის ნოველები (გვ.32, 33, 34) „სიცოცხლის მოწმობა“ და „მეყვავილე ავთო“ შეცდომით დაიბეჭდა.

სიცოცხლის მოწმობა

32 გვ. „მთელი ცხოვრება მაღიზიანებდა სხვადასხვა დაწესებულებათა დირექტორების დამძიმებული, ათასგვარი მაკიაჟით გასხივოსნებული მეტიჩარა მდივნების შეხვედრა“ — **უნდა იყოს**; „მთელი ცხოვრება მაღიზიანებდა სხვადასხვა დაწესებულებათა დირექტორების მოკლეკაბიანი, ათასგვარი მაკიაჟით გასხივოსნებული მეტიჩარა მდივნების შეხედვა“...

გვ. 33 „ბიჭი, ცოტა დაბნეული, მაგრამ აშკარად ბედნიერად გრძნობდა თავს, — **უნდა იყოს**; „ბიჭი ცოტა დაბნეული, მაგრამ აშკარად ბედნიერი ჩემს გვერდით წამოსკუპებულიყო“.

მეყვავილე ავთო

გვ. 34 „ავთო მოწიწებით დაიხარა, მიწა მოუჩიჩქნა, მერე ფურცლებს ერთი შავი ვარდის წინ ფაქიზად შეეხო... — **უნდა იყოს**; ავთო მოწიწებით დაიხარა ერთი შავი ვარდის წინ, მიწა მოუჩიჩქნა, მერე ფურცლებს ფაქიზად შეეხო“...

გვ. 34 „ოთხი თვეც არ იყო გასული იმ დღიდან, რაც ავთოს ბაღში ვარდების აღსარების უნებური მოწმე გავხდი, — **უნდა იყოს**; უნებური მოწმე გავხდი ვარდების ბაღში ავთოს აღსარებისა“...

რედაქცია ბოდიშს უხდის მწერალს, ბატონ გივი სიხარულიძეს უნებურად დაშვებული შეცდომების გამო.

ფოლკლორი

მაღაძახილი



ლუკია და ზაქარია
მოდიოდნენ შორსა გზაზე,
შეისვენეს და ჩამოსხდნენ
ღელიჭირას ერთ ლუგ ქვაზე.
დაღლილმან და დამაშვრალმან
გული გაიგრილეს წყალზე.
გუდა-სტვირები მოიხსნეს,
წაივახშმეს ცივსა მჭადზე,
მერე ჭაჭა ჩამოასხეს,
სადღეგრძელო თქვეს რაჭაზე.
ერთი ხანი გაირინდნენ,
ფიქრი წაუვიდათ სახლზე.
მოენატრათ თავის კერა,
ბევრის მნახველთ ქვეყანაზე.
ბევრი ლხინზე დაამღერეს,
ზოგიცა სთქვეს ჭირ-ვარამზე.
გუდა-სტვირი, ქალამნები,
ბევრი ცვითეს გზა-შარაზე.
გული სახლიკენ მოუწევთ,
გზა კი დიდი ელით ძალზე.
ფიქრში მოიარეს რაჭა,

ლუკია, ზაქარია და რაჭველი მესტვირეები

გადმოვიდნენ მრავალძალზე.
ფარახეთი დაინახეს,
ცრემლი მოადგათ თვალზე.
ჰირზე ჯვარი დაისახეს,
დიდება კი თქვეს უფალზე.
უცებ ფიქრი გაეფანტათ,
გამოერკვნენ ნიავქარზე,
ცივი მჯადი უკავიათ,
ისევ სხედან იმ ლუგვ ქვაზე.
ერთმანეთის ფიქრი ესმით,
ხელი წაუვიდათ განზე,
გუდა-სტვირები გამართეს,
ჩაუბერეს ბევრი ძალზე,
მუდამ სხვისთვის მოლექსეთა,
დააკვნესეს თავის დარდზე.
როდესმე თუ გვეღირსება
მშვიდად ჯდომა ჩვენს კერაზე.
რაჭველების შრომა, გარჯა,
მეტი არის უღელ ხარზე.
ღმერთმა იმ დღესაც მოგვასწროს,
შვილთაშვილი გვესხდეს მხარზე.
ცოლი დარდით არ კვდებოდეს,
მუდამ არ გველოდოს კარზე.
ასი წლის მერეც გვანახოს,
რა მოხდება რაჭის თავზე.
ლუკიამ უთხრა: ჩემო ზაქარია,
შენს ჰირს თაფლუკა და შენს ჰირს შაქარია,
რაჭველი ხარობდეს მუდამ რაჭაშია.
ეჰ, ჩემო ლუკია და ჩემო ზაქარია,
უფალმა გაგიღოთ ნათლისა კარია,
რაჭა კვდება და უკვე ნაშალია,
სოფელი ინგრევა და კვდება რახანია.

ფარახეთს მესტვირენი უკვე არ არიან,
აღარც ბეღელი და აღარც მარანია.
საფლავნი გამქრალან, იქ ეკალნარია,
ყველგან მწუხარება, სევდა და დარდია.
ზოგან ახალი, ლამაზი სახლ-კარია,
მაგრამ რაჭველები მაინც ქვე გარბიან.
ჩვენს თავს სევდაა და ჩვენს თავს ვარამია,
უფლის ყვედრებაა და მას აბრალიან.
თქვენი ასი წელი ჯერ არ გასულია,
მაგრამ რაჭის საქმე უკვე წასულია.
ჩვენი ძახილი კი მომაკვდავთ ხავილია.
არ ჩანს მომავალი, რაჭა წარსულია.
უცებ ხმა მომესმა, თქვენი ძახილია,
შვილნო, არ დანებდეთ, უფლისგზა ხსნილია.
ჩვენი გადარჩენა, ლოცვა გარჯაშია!
ჩვენო ლუკია და ჩვენო ზაქარია,
თქვენს ჰირს თაფლუკა და თქვენს ჰირს შაქარია,
უფალმა გაგიღოთ ნათელის კარია,
რაჭველი ხარობდეს მუდამ რაჭაშია!

ავტორი უცნობია. თუ ვინმეს გეცნობათ ეს სტროფები, გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ.

შუმერული და ქართველური ენები

შუმერები და ქართველები

შუმერები არიან დედამიწის უძველესი და უპირველესი ცივილიზებული ხალხი, რომლებმაც გაანათლეს კაცობრიობა, ისინი არიან ცივილიზაციის სათავე.

მათ ასწავლეს კაცობრიობას:

- წერა-კითხვა, ჯერ ლურსმული და შემდეგ ანბანური.
- ხაზი და ხაზობრივი ცივილიზაცია (გეომეტრია)
- რიცხვები – მათი აზრი და შინაარსი (მათემატიკა)
- ასტრონომია

კაცობრიობის პირველი ღვთაებათა პანთეონი, სამყაროს ატსრონომიული სალოცავები, რომელთაგანაც დედამიწის ხალხმა ლოცვა ისწავლა.

დიდი ღმერთის, ერთის, სამყაროს შემოქმედის ხატება, აზრი და შინაარსი.

მზისა და მთვარის კალენდარი წამების სიზუსტით, რა სიზუსტის კალენდარიც თანამედროვე მსოფლიომ არ იცის და არც აქვს, რომელიც ჩვენ აღვადგინეთ.

ისინი წერენ და იწყებენ სამყაროს და კაცობრიობის ისტორიას:

- „სამყაროს გაჩენა" – აღწერენ პირველად ხმელეთის ამოსვლას პირველქმნილი ოკეანედან დედამიწაზე;
- „წარღვნა";
- „მეორედ მოსვლა";
- „კაცობრიობის ახალი წლის პირველი დღე".

მსოფლიოს შუმეროლოგებმა ეს ყველაფერი შუმერული თიხის წიგნებზე წაიკითხეს.

შუმერები ისტორიას ცისა და მიწის გაჩენით იწყებენ. გასაოცარია საიდან იცოდნენ ეს ისტორია? როგორი თვალი უყურებდა მაშინ დედამიწას, როცა ცა და მიწა ნაწილდებოდა? როცა სულ წყლით იყო დაფარული მიწა და ხმელეთი ჯერ კიდევ არ იყო?

ასევე, საოცარია, აუხსნელია, ქართული ასომთავრულის – შუმერების ანბანის შექმნაც, საიდან? როგორ? რისი ნაწილია ანბანში შეფარული ეს უზარმაზარი სიბრძნე – სამყარო!

დედამიწის დაბადების ისტორია და ანბანის შინაარსი ერთი ფუძისანი არიან, ერთ საძირკველზე დგანან. საოცარია ისიც, რომ ამ ორ შემთხვევას – დედამიწის შექმნის ისტორიას და ანბანს ერთი და იგივე ღვთაებები ჰყავთ.

მსოფლიოს მეცნიერებმა შუმერების გზა-კვალს დედამიწაზე ვერ მიაგნეს და გამოაცხადეს, რომ ენა მკვდარია და ხალხი გადაშენებული. ასე დაასრულა მსოფლიოს უდიდესმა შუმეროლოგიის კოჰორტამ კვლევა შუმერების შესახებ – ფრანსუა ტიურო-დანაუენმა, არნო პიობელმა, ადამ ფოლკენშტეინმა და ფრანსუა ნოას კრამერმა – მიუხედავად მათგან ბრწყინვალედ წაკითხული შუმერული ისტორიისა.

1996 წლის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა „მსოფლიო ანბანური კვლევის სამეცნიერო ცენტრმა „შუმერი" თავისი ახალი მეცნიერული აღმოჩენების საფუძველზე განაცხადა, რომ ენაც ცოცხალია და ხალხიც, რაც დაადასტურა სამყაროსეული შინაარსის მქონე, კაცობრიობის პირველმა საოცრებამ – ანბანმა. რაც ანბანმა გააცხადა, ამის გაცხადება არ შეეძლოთ რაც კი მეცნიერები ყოფილან დასაბამიდან დღემდე დედამიწაზე და ეს ანბანი ქართული ასომთავრულია,

რომელიც შუმერების ანბანად აცხადებს თავს, რომელიც ოცდათხუთმეტნიშნაა და ოცდათხუთმეტივე ასო ნიშანს შუმერული სახელები ჰქვია, რომელიც შუმერების ყველა ცივილიზაციის სათავეა. ეს კი არ იცის მსოფლიომ.

ესაა ანბანი, რომელშიც შეფარულია ყველა ის სიბრძნე, რითაც მოძღვრავდნენ შუმერები მსოფლიოს, ესაა ყველა ცივილიზაციის სათავე, სამყაროს ცივილიზაციის პირველი მემკვიდრე დედამიწაზე. უფრო მეტიც, ეს ანბანი ქართველი ხალხის დედა ენაა და ეს დედობა კი ამტკიცებს შუმერებისა და ქართველების მამაშვილობას, ეს შვილები კი დღევანდელი ქართველი ხალხი და საქართველოა – თავისი ენით, ანბანით, მთელი თავისი კულტურული მემკვიდრეობით – პირდაპირი შვილები შუმერებისა.

რადგანაც მსოფლიოს მეცნიერებმა, შუმეროლოგებმა, აღმოსავლეთმცოდნეებმა, სემიტოლოგებმა, ძველი მსოფლიოს ისტორიკოსებმა ვერ მიაგნეს და არ იციან სათავე შუმერების ცივილიზაციისა. მინდა საქართველოში დავაარსო მსოფლიო განათლების ცენტრი, უნივერსიტეტი – მეცნიერებათა აკადემიით, რადგანაც ანბანში ის ცივილიზაციაა, რომელსაც მთელი მსოფლიო უნდა სწავლობდეს და არკვევდეს, ხოლო დედამიწის ამ დაკარგული ისტორიის მიგნება და აღდგენა სულ სხვა გზაზე აყენებს კაცობრიობის აზროვნებასა და ისტორიას!

საუკუნეები ეძებდა მთელი მსოფლიო ამ ცივილიზაციას და ვერ მიაგნეს. დაინტერესებული ხალხი აქ მოვა სასწავლებლად – ძირითადად მეცნიერები.

რაც მთავარია: ეს აღმოჩენა ქართველი ხალხის მილიონობით – ერთთესლა, ერთსისხლა და ერთხორცა ნათესავებს ნახულობს მცირე აზიაში – ხეთები, კაბადოკიელები, ჭანები, ლაზები, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში - საფრანგეთისა და ესპანეთის ბასკები, რელიგიური ომიდან ამოყავს საქართველო, რაც ჩვენი ქვეყნის გადარჩენის გზაკვალია!

ამ ენათა ურთიერთდამოკიდებულებას ყურადღება მიაქციეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში. შუმერულისა და ქართველური ენების ნათესაობის მტკიცების პირველი ცდა (1904 წ.) ეკუთვნის კ. კრამალს, რომელმაც დამაჯერებლად მიიჩნია კავშირი შუმერული „სარ" და ქართულ „წერას", შუმერულ „სიმ", „სუმ" (მიცემა) და ქართულ „ჩემ"-ს (აქედან მიცემა) შორის, თუმცა მის მიერ მოყვანილი არაერთი სხვა მაგალითი საეჭვოდ მიიჩნიეს.

ცნობილია გამოჩენილი ქართველი ასირიოლოგის მ. წერეთლის მოსაზრებანი ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი 1912 წლიდან აქვეყნებდა ნაშრომებს, რომლებშიც ანვითარებდა ვარაუდს, რომ შუმერული და ქართვეული ენები (ქართული, სვანური, მეგრული, ლაზური) ბევრ საერთოს ავლენდნენ ლექსიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროებში. თუმცა, იგი გენეტიკურ ნათესაობას შუმერულსა და ქართველურ ენებს შორის მაინც ვერ ხედავდა.

***

სოლისებრი დამწერლობა (უფრო ცნობილია, როგორც ლურსმული დამწერლობა) — დამწერლობის ძველი სახეობაა, რომელიც გავრცელებული იყო წინა აზიასა და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ რეგიონში. იგი შექმნეს შუმერებმა ძვ. წ. III ათასწლეულში. III ათასწლეულის შუა ხანებში შუმერებმა ლურსმული დამწერლობა გამოიყენეს სიტყვიერ–მარცვლოვანი დამწერლობისთვის, რომელშიც სიტყვის ფუძე აღინიშნებოდა იდეოგრაფიულად, ხოლო გრამატიკული ელემენტები და დამხმარე სიტყვები–შესაბამისი მარცვლებით. თავდაპირველად, ლურსმული დამწერლობა შედგებოდა პიქტოგრამებისგან, მაგრამ რადგან საწერად გამოიყენებოდა რბილი თიხის ფილა და ლერწმის

ღერი, ამ ინსტრუმენტებით პიქტოგრამების ხატვა არ იყო მარტივი და სიმბოლოები ლურსმის ფორმის შტრიხებად გარდაიქმნენ. ამიტომაც ეწოდება დამწერლობას ლურსმული. დამწერლობის მიმართულება თავდაპირველად იყო ვერტიკალური და მარჯვნიდან მარცხნივ, ხოლო შემდგომ ჰორიზონტალური და მარცხნიდან მარჯვნივ.

შუმერული დამწერლობა III ათასწლეულის შუა ხანებში გადაიღეს აქადურში, ელამურში, ხურიტულში, ლუვიურში, ხეთურში და ურარტულში. ამრიგად, ლურსმული დამწერლობა პირველი საერთაშორისო დამწერლობა გახდა.

ქართული ასომთავრული ანბანი შუმერების ანბანია!

შუმერების ანბანში მთვარე და მზე ასო-ნიშნებადაა: ა - ასო-ნიშანს „ანი", მთვარის უძველესი სახელი ჰქვია, დ - ასონიშანს „დონი" ჰქვია, მზეა, ოღონდ უწიგნურმა უძველესმა ხალხებმა სიტყვებად გადაიღეს, სიტყვა „მთვარეს" კი ვერ წერდნენ, პირდაპირ მთვარეს ხატავდნენ, ასევე - მზეს, ასოები არ იცოდნენ. ვერ წერდნენ და ხატავდნენ. ასე შექმნა გაუნათლებელმა მსოფლიომ ხატოვანი დამწერლობა, რომელსაც დღევანდელი კაცობრიობა და მეცნიერები პირველდამწერ-ლობად მიიჩნევენ. ეს რომ ასე არ არის და ჩვენი აღმოჩენაა სწორი, ამას ადასტურებენ ძვ.წ. 5600 წლის შუმერული თიხის ფირფიტები, ჭურჭელი, თიხის და რკინის ბეჭდები, სარკოფაგთა წარწერები, ამავე დროს შუმერული ანბანის ასო-ნიშნები, რომლებიც მსოფლიოს მეცნიერებს ასოებად კი არა, სიტყვებად მიაჩნიათ.

ჩვენი აღმოჩენები საოცარი სიზუსტით ეუღლება უდიდესი ამერიკელი მეცნიერის სემიუელ ნ. კრამერის კვლევას, მის ნააზრევს, რომე-ლიც გადმოცემულია წიგნში „ისტორია იწყება შუმერიდან", ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ ანბანი იწყება შუმერიდან და დღემდე ვერც ერთმა მეცნიერმა მსოფლიოში ვერ შეძლო დაემტკიცებინა ეს, იმიტომ, რომ ქართული ასომთავრულით, იგივე შუმერების ანბანით, არავის არ გადაუსინჯავს შუმერთა სიძველეები; მათ მიწაზე გაჩენისთანავე ჩამოჰყვათ ანბანი, იმ რკინასავით, რომელიც დედამიწაზე არ მოიპოვება, სამყაროსეული ლითონია, სახელად „ამუთუმ" ჰქვია და ქროზე 5-ჯერ ო და ვერცხლზე 40-ჯერ ძვირია.

შუმერების ანბანი უნდა აღმდგარიყო და აღდგა იმ ხაზობრივი ფორმულით, რომელიც შეინახეს საქართველოს კავკასიონის მთის საცავებმა და ანკარის სიძველეთა მუზეუმში დაცულმა ხეთების უძველესმა ფერადმა თიხამ, რომელსაც ინგლისელი მეცნიერი მელარტი ძვ.წ. 6500-5600 წლებით ათარიღებს და 900 წლით ასწრებს ჩვენეულ დათარიღებას, 5600 წელს, მაგრამ ეს ჩვენს მიგნებას უფრო აძლიერებს, 5600 წელი კი ზუსტად ემთხვევა.

მსოფლიოს მეცნიერთაგან ასაკობრივ და ხაზობრივ ასეთ დამთხვევას ვერავინ დაიქადნის.

აქ, კავკასიონის მთის საცავებში, დარჩა სამყაროსეული ცივილიზაციის ის უდიდესი კულტურა, რაც მთელ აღმოსავლეთში რელიგიამ დამარხა. ეს უძველესი კულტურა საქართველოში ქრისტიანობამ გაანადგურა, მთელ მცირე აზიასა და ახლო აღმოსავლეთში კი მაჰმადიანურმა მოსპო იგი.

უძველეს შუმერულ სიტყვებს საოცარი სიზუსტით ხსნის საქართველოში შემონახული ენები: მეგრული, სვანური და თავად ქართული (ეს ენები და ხალხი, მკვდარი და წაშლილი რომ ჰგონიათ მსოფლიოს მეცნიერებს, აქ, საქართველოში, შემონახული და ცოცხალია).

ანბანში რომ სამყაროსეული ცივილიზაციაა, მისი მზისა და მთვარის კალენდრით მტკიცდება, რომელიც დედამიწის ოთხ დროს წამების სიზუსტით ანგარიშობს და ისეთი სიზუსტითაა გამოთვლილი, რომლის მსგავსი თანამედროვე კაცობრიობამაც არ იცის.

და ბოლოს: შუმერების ანბანი - ქართული ასომთავრული, მზისა და მთვარის ანბანად წოდებული, სამყაროსეული ცივილიზაციის ფორმულით არის შედგენილი და დედამიწაზე ადამის მოდგმის განათლების სათავეა. ამ ანბანური განათლების საიდუმლოებათა ამოცნობა, გაგება და მიგნება სულ სხვა გზაზე აყენებს კაცობრიობის ისტორიას და აზროვნებას.

შუმერების - იგივე ქართული ასომთავ-რული - ანბანი აღმოსავლეთის ყველა უძველეს ცივილიზაციათა სათავეა, რომლის გაცნობა მსოფლიოს აღმოსავლეთმცოდნეებს აძლევს საშუალებას ახსნან ჯერ ამოუხსნელი ყველა საიდუმლოება, რითაც სავსეა კაცთა მოდგმის დღემდე ბოლომდე ამოუცნობი პირველი სიძველეები.

ზურაბ ქაფიანიძე
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან
არსებული მსოფლიო ანბანური კვლევის
სამეცნიერო ცენტრი „შუმერის" პრეზიდენტი

თეიმურაზ მიგჩუანი
ვიცე-პრეზიდენტი, აფხაზეთის
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი
დოქტორი, პროფესორი.

მშვიდობით, ჩვენო ჯონი!

ჯონი ბელაშვილი, კაცი, რომელიც რაჭის მაღალმთიანი სოფლის გლოლის მიწაზე დაიბადა, გაიზარდა და თავის ტყუპისცალთან ერთად ახოვანებითა და იშვიათი მამაკაცური სილამაზით უხდებოდა იქაურობას. მათ ტოლს არც მესამე ძმა, უფროსი, ჯემალი უდებდა. სამივე ბიჭები ცამდე აზიდულ კავკასიონის მთებს სიმაღლეში ეპაექრებოდნენ, ნეტა თქვენს დედასო, არაერთს აღმოხდომია

ბაგეთაგან, როდესაც ქალბატონ პაშას შვილებთან ერთად იხილავდნენ. ოჯახის მამა, ბატონი თედო ხარობდა შვილების ბედნიერებით. სამივე ძმები ოჯახებთან ერთად ზაფხულობით რომ მშობლიურ კერას ეწვეოდნენ, ირგვლივ ყველა და ყველაფერი ხარობდა, სახლის ფუძე და ჭერი სიყვარულით თბებოდა, ბედნიერ მშობლებს ეამაყებოდათ თავიანთი „მონაგარი“ და სოფელში თავს იწონებდნენ, ჩვენი რძლების ფასი ქალები იშვიათად თუ სადმე დაიბადებიანო.

ჯონი ბელაშვილი
და ნანა გუგუშვილი

გავიდადრო,წუთისოფელი ხომ ხანგრძლივად არავის გაახარებს და თაფლში ურევს მწარე ნაღველს. ტყუპისცალი გივი ცალად დარჩა. ამას წინ დიდი კატასტროფა უძღვოდა. მზეჭაბუკივით ლამაზი და მოხდენილი ჯონი სავარძელში აღმოჩნდა. სულ ახლახანს კი სამუდამო სასუფეველში დაიმკვიდრა საცხოვრისი, დატოვა აცრემლებული მეუღლე ნანა გუგუშვილი, რომელიც დიდი სიყვარულით უმსუბუქებდა არსებულ მდგომარეობას, თვალებში შეჰყურებდა მეუღლეს და დღენიადაგ მის ჯანმრთელობაზე ზრუნავდა. შვილები: ნინიკო და კოტიკო, პატარა შვილიშვილები, რომელთა დაფრთიანებასაც ვეღარ მოესწრო, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ძმები გივი და ჯემალი საყვარელი ძმის დაკარგვის გამო, ახლობლები, ნათესავები, მეგობრები, მეზობლები.

ჯონი ყველასათვის საყვარელი, სიკეთით და სითბოთი აღსავსე ადამიანი იყო.

ეს იყო კაცი, რომელიც ერთნაირად უხდებოდა სოფელს თუ ქალაქს, ოჯახს თუ ირგვლივ მყოფთ.

მსუბუქი იყოს შენთვის თბილისის მიწა. სანთელ—საკმეველი გინათებდეს გზას მარადიულობისაკენ.

ნინო რეხვიაშვილი

ქრისტიანული აღდგომის და ებრაელთა პასექის ურთიერთის შესახებ

ხშირად გვსმენია, რომ თუ ქრისტიანული აღდგომა ებრაელთა პასექს დაემთხვა, მაშინ აღდგომის დღესასწაული გადატანილ უნდა იქნას მომდევნო კვირადღეზე. ეკლესიის ისტორიიდან კი არა ერთი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც ხსენებული ორი დღესასწაული ერთ და იმავე კვირადღეს აღინიშნებოდა. მაშ, რა საფუძველი უდევს "ერთი კვირით გადატანის" იდეას? სწორედ ამ საკითხთან და აგრეთვე აღდგომის თარიღის გამოთვლასთან დაკავშირებით გთავაზობთ ამონარიდს მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორის დიმიტრი ოგიცკის (1908 – 1994) სტატიიდან "მართლმადიდებლური პასქალიის კანონიკური ნორმები და აღდგომის თარიღის პრობლემატიკა ჩვენს პირობებში". ნაშრომი საგანგებოდ ბლოგისათვის რუსულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო დიაკვანმა ირაკლი წაქაძემ.

აღდგომის დათარიღების თაობაზე და, კერძოდ კი, აღდგომის "μετά των ιουδαίων" ("იუდეველებთან ერთად", აღნიშვნის აკრძალვაზე კანონიკურ განმარტებებზე არასწორ მსჯელობას, უპირველეს ყოვლისა, ვხვდებით მართლმადიდებლური აღმოსავლეთის ისეთ ცნობილ კანონისტებთან, როგორიცაა, იოანე ზონარა, თეოდორე ბალსამონი, მათე ვლასტარი. ყველაზე მეტად სწორედ მათ შეუწყვეს ხელი ჩვენს მართლმადიდებლურ სივრცეში ასეთი მსჯელობების პოპულარიზაციას.

მოციქულთა მე-7 კანონის განმარტებისას ზონარა წერს: "ამ წესის მცნება მდგომარეობს შემდეგში: ქრისტიანებმა არ უნდა იზეიმონ აღდგომა იუდეველებთან ერთად, ანუ არა ერთიდაიმავე დღეს; რამეთუ მათი არა სადღესასწაულო დღესასწაული წინ უნდა გვისწრებდეს და მხოლოდ მის შემდეგ უნდა სრულდებოდეს ჩვენი აღდგომა. სამღვდელო პირი, რომელიც ამას არ ასრულებს, დაყენებულ უნდა იქნეს." იგივე განსაზღვრა ანტიოქიის კრებამაც ზონარას პირველ კანონში, ხოლო მათ მსგავსად სხვა კანონისტებიც წესების მათეული განმარტებებით ქრისტიანული აღდგომის ვადებს ებრაელთა პასექის ვადებთან პირდაპირ დამოკიდებულებში საზღვრავენ. ჩვენში კანონიკური წესების ასეთ განმარტებას რაღაც უპირობო, თითქმის აქსიომის სახე მიეცა. ასეთ მიდგომას იზიარებენ ისეთი გვიანდელი გამოჩენილი კანონისტები, როგორიცაა, ეპისკოპოსი ნიკოდიმ მილაში. დღესაც ბევრი ოპერირებს ასეთი განმარტებებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წამოიჭრება შეკითხვები კალენდრის და პასქალიის შესწორების თაობაზე.

სინამდვილეში კი ყველაფერი რაც ჩვენთვის ცნობილია ნიკეის კრების დამოკიდებულებაზე აღდგომის თარიღის განსაზღვრებასთან და-კავშირებით, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის აღდგომის შესახებ კანონიკური წესების ასეთ ინტერპრეტაციასთან.

მაშ, რას გულისხმობდნენ ეს წესები, რომლებიც ქრისტიანებს უკრძალავდნენ აღდგომის აღნიშვნას μετά των ιουδαίων („იუდეველებთან ერთად") ქრისტიანულ და იუდეველთა დღესასწაულების შემთხვევით თანხვედრას ერთ და იმავე დღეს? თუ კი, იბადება შეკითხვა – რატომ არ შეიძლება ასეთი თანხვედრა? იმიტომ ხომ არა, რომ დღესასწაულის აღნიშვნა ერთ და იმავე დღეს დაარღვევდა ისტორიულ თანამიმდევრობას – ჯერ სჯულისმიერი და მერე კი ახალი პასექი? თუმცა ცნობილია, რომ ეკლესიებისთვის, რომლებმაც ამ საკითხთან დაკავშირებით

მიიღეს ნიკეის დადგენილება, არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა ასეთი თანხვედრები და ისინი აღდგომას იუდეველებთან ერთად ერთ და იმავე დღეს ზეიმობდნენ თვით ნიკეის კრების შემდეგაც – 328, 343, 347, 370, 394 წლებში და უფრო მოგვიანებითაც. თუ მოთხოვნა იყო მოვლენათა თანმიმდევრობის დაცვა და ქრისტიანენი ვალდებულნი იყვნენ ყურადღება მიექციათ იმისათვის, რომ მათი აღდგომა ებრაელთა პასექის შემდგომ უნდა ყოფილიყო, მაშინ გაუგებარია, რატომ არსად კანონებში არაა აკრძალვა ქრისტიანული აღდგომის ებრაელთა პასექამდე აღნიშვნაზე. იბადება ასეთი შეკითხვაც: ზონარას და მისი თანამზრახველების აზრით რა მდგომარეობაში, აღმოჩნდებოდნენ ქრისტიანები თუ, დავუშვათ, ჩვენს დროში ებრაელები შეცვლიდნენ თავის პასქალიას და თავიანთი პასექის თარიღს ჩვენსას მიუახლოვებდნენ – განა იძულებულნი ვიქნებოდით მაშინ, რომ "გავქცეულიყავით" მათგან ჩვენი თარიღებით და, შესაბამისად, შეგვეცვალა ჩვენი პასქალია?

გამომდინარე იმ ფაქტებიდან, რომლებიც ნიკეის დროინდელ პასქალური დავების ისტორიას ეხება, ამაზე მხოლოდ ერთი პასუხის გაცემა შეიძლება: ნიკეის მამებმა უარყვეს ქრისტიანული აღდგომის ნებისმიერი დამოკიდებულება ებრაული პასექის თარიღებზე. განსაკუთრებით ეს ხაზგასმულია იმპერატორ კონსტანტინეს მიმართვაში: "პირველ რიგში, უღირსად მიიჩნიეს, რომ ეს უწმინდესი დღესასწაული იუდაური ჩვეულების მიდევნებით აღსრულებულიყო ნებადართულია, რომ მათი ჩვეულებები ამოიძირკვოს, და დადგინდეს უფრო ჭეშმარიტი წესით და მომავალი საუკუნეებისათვისაც მისი მიდევნებით აღსრულება". ცდილობს რა განაწყოს ყველა ქრისტიანი ამ წესის მისაღებად, ამ მიმართვის ავტორი დაბეჯითებით მოუწოდებს ქრისტიანებს ებრაელებთან არანაირი საერთო არ ჰქონდეთ პასექის თარიღის დადგენაში. "რამეთუ, – ამბობს იმპერატორი, – ნამდვილად ყველაზე უფრო უჯერო არის, რომ ისინი იქადოდნენ, თითქოს მათი მოძღვრების გარეშე ამის დაცვა არ ძალგვიძს". ამასთან ერთად, ის ცდილობს ებრაული კალენდრის დისკრედიტაციას, რომლის მიხედვითაც იმ დროს პასექს გაზაფხულის ბუნიობამდეც აღნიშნავდნენ ხოლმე. იმპერატორის ეპისტოლეში ასეთი შემთხვევები შეფასებულია როგორც ერთ და იმავე წელს პასექის ორჯერ აღნიშვნა.

არც კანონებში, არც სხვა თანამედროვე და ნიკეის კრებასთან დაახლოებულ დოკუმენტებში, რომლებიც ნიკეის კრების განმარტებების იძლევიან, არაა საუბარი, რომ გამორიცხული იყოს შესაძლებლობა ქრისტიანული აღდგომისა და ებრაული პასექის შემთხვევით თანხვედრისა, ანუ შესაძლებლობა ამ უდიდესი დღესასწაულის აღნიშვნისა იუდეველებთან ერთად ერთსა და იმავე დღეს. აგრეთვე ვერსად ვერ ნახავთ აკრძალვას, რომ ქრისტიანული აღდგომა იზეიმებოდეს ებრაელთა პასექამდე. ასეთი აკრძალვა ნიშნავდა ქრისტიანული აღდგომის თარიღების დამოკიდებულებას

ებრაული პასექის თარიღებზე. ხოლო ყველაფერი ის, რაც ჩვენთვის ცნობილია ნიკეის კრების დადგენილების თაობაზე, მეტყველებს იმაზე, რომ ნიკეის საეკლესიო კრების მამები ამ საკითხში ქრისტიანების ებრაელებზე ნებისმიერი ფორმით დამოკიდებულების წინააღმდეგნი იყვნენ.

მაშასადამე, ნიკეის კრებამ აკრძალა ქრისტიანული აღდგომის თარიღის ებრაული პასექის თარიღთან არა შემთხვევითი თანხვედრა, არამდე პირველის მეორეზე პრინციპული დამოკიდებულება. μετά των ιουδαίων („იუდეველებთან ერთად" – მთარგმ.) გამოთქმის გამოყენებით კანონები გულისხმობდნენ „აღმოსავლეთ" ქრისტიანთა იუდეველებთან პრინციპულ თანხმობას ნისანის 14 თარიღის დადგენაში და არა თარიღების, გამოთვლების ამა თუ იმ შემთხვევით თანხვედრას.

ზონარას და სხვა კანონისტების შეცდომა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობდა μετά των ιουδαίων ("იუდეველებთან ერთად" – მთარგმ.) ფრაზის არასწორ, ზედაპირულ და საკმაოდ სიტყვა-სიტყვით გაგებაში ყოველგვარი კონკრეტული ისტორიული პირობის გაუთვალისწინებლად, ანუ იმ პირობისა, საიდანაც ეს ფორმულა წარმოიშვა. მეორეს მხრივ, ეს იყო შედეგი იმისა, რომ ისინი თანამედროვე პასქალური მონაცემებიდან არასწორ დასკვნებს აკეთებდნენ. საქმე იმაშია, რომ მათ დროში ჩვენი პასქალური ცხრილები, რომლებიც იულიუსის კალენდარს ეფუძნებიან, ასტრონომიული მონაცემებისა და ებრაული გამოთვლებისაგან (რომლებიც, სხვათაშორის, იმ დროისათვის საკმაოდ ზუსტი გახდა) იმდენად ჩამორჩებოდნენ, რომ ქრისტიანულ აღდგომასა და ებრაულ პასექს შორის გაზრდილი დაშორება საერთოდ გამორიცხავდა ამ თარიღების თანხვდენას. ფაქტიურად, ზონარას დროს ქრისტიანული აღდგომა ებრაული პასექის შემდეგ იყო. სწორედ ამ სიტუაციაში კანონისტები ყოველთვის ხედავდნენ ქრისტიანთათვის ამ თანმიმდევრობისა და ქრისტიანულ და ებრაულ დღესასწაულებს შორის დისტანციის დაცვის თავიანთი განმარტებების მტკიცებას.

ამჟამად, როდესაც პასქალიის განხილვის საკითხი დგას, ჩვენთვის აუცილებელია კანონების ასეთ არასწორ განმარტებებს მკაცრად გავემიჯნოთ და ვიმსჯელოთ იქიდან გამომდინარე, რომ ეს კანონები არ გულისხმობენ არანაირ პრინციპულ დამოკიდებულებას ჩვენი აღდგომის თარიღებისა ებრაელთა პასექის თარიღებზე.

მაშ, როგორია ამ საკითხში ჭეშმარიტად კანონიკური მოთხოვნები?

აღდგომა უნდა აღინიშნებოდეს გაზაფხულის პირველი სავსემთვარეობის შემდეგ, ანუ პირველი სავსემთვარეობის შემდეგ, რომელიც გაზაფხულის ბუნიობას მოსდევს ანდა მას ემთხვევა. ეს რომ თანამედროვე კალენდრის ენაზე გადმოვიტანოთ, ვიტყოდით, რომ აღდგომა უნდა აღინიშნებოდეს იმ სავსემთვარეობის შემდეგ, რომელსაც ადგილი აქვს ახალი სტილით 21 მარტიდან 19 აპრილამდე.

აქედან გამომდინარეობს, რომ კანონების მიხედვით, ყველაზე ადრეული შესაძლებელი თარიღი აღდგომისათვის არის 22 მარტი (იმ შემთხვევაში, თუ სავსემთვარეობაა შაბათს, 21 მარტს).

რაც შეეხება ყველაზე გვიანდელ თარიღს, ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოება. სავსემთვარეობა 18 აპრილს ყოველთვის იქნება პირველი გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ. სავსემთვარეობა 19 აპრილს შეიძლება იყოს როგორც პირველი (თუ მის წინა სავსემთვარეობა იყო 20 მარტს), ასევე მეორეც (თუ წინა სავსემთვარეობა იყო 21 მარტს). სავსემთვარეობა 20 აპრილს ყველა შემთხვევაში იქნება მეორე. შესაბამისად, ნისანის 14-ის ყველაზე გვიანი შესატყვისი იქნება 19 აპრილი, ხოლო პასქალური კვირადღის ყველაზე გვიანდელი თარიღი (იმ შემთხვევაში, თუ სავსემთვარეობაა 19 აპრილს), შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს 26 აპრილი ახალი სტილით.

კვირადღე, რომელიც უფრო გვაინდელ პერიოდშია (ახალი სტილით 27 აპრილი და მის შემდგომ), ყოველთვის იქნება კვირადღე გაზაფხულის მეორე სავსემთვარეობის შემდეგ. ვინაიდან ასეთი კვირადღე უკვე ნისანის 14-საგან დაშორებულია მეორე სავსემთვარეობით (14 იარი, ნისანის შემდგომი თვე), მას ნისანის 14-თან უკვე ყველანაირი კავშირი დაკარგული აქვს და არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს თარიღად, რომელიც პასუხობს ნისანის 14-ის მერე აღდგომის აღნიშვნის ტრადიციულ მოთხოვნილებებს.

ამ დროს კი, ვინაიდან ჩვენს პასქალიასა და აქტუალურ ასტრონომიულ მონაცემებს შორის არსებული დაშორება პროგრესირდება, უკვე ჩვენს დროში ჩვენი აღდგომის თარიღი აშკარად დაგვიანებულია. ეს ხდება საკმაოდ ხშირად, რამეთუ ჩვენთან აღდგომის ყველაზე გვიანდელი თარიღი განსაზღვრულია როგორც 8 მაისი ახალი სტილით.

დიაკვანი ერეკლე წაქაძე

ზოდიკო ხომასურიძე

სიკეთე

ზაფხულის არდადეგებზე მამაჩემის სოფელში, ნახევრადუსინათლო ბებიასთან მივდიოდი ხოლმე. ახლაც მახსოვს, მისი გაკეთებული მოლის ფხალის და ბუხარში გამოცხვარი კეცის მჭადის გემო. ტყიდან ხმელ ფიჩხს მოვუზიდავდი და მერე მთელი დღე ბავშვებთან ერთად დავრბოდი აღმა-დაღმა. ხილი მწიფობას იწყებდა და ჩვენც მეტი რა გვინდოდა — ხან ვის ხეზე ვიყავით შესეული და ხან ვისაზე. ერთ საღამოს, ბიჭებმა მოვილაპარაკეთ და რომანოზის შავი ბლის დალაშქვრა გადავწყვიტეთ. შუაღამე გადასული იქნებოდა, მის წისქვილთან მდგარ ბალს შაშვებივით შევესიეთ. წისქვილის წყალი გადაგდებული იყო და ეტყობოდა რომანოზის ცოლმა ხმაური გაიგო. ქმარი გააღვიძა და უსაყვედურა:

— კაცო! მთელი ბალი ბოვშებით გეივსო და რა გაძინებს ეგრე გულიანად?

— ქალო ბალზე ბოვშები უნდა შევიდნენ, აბა მე და შენ ხომ აღარ შევალთ. ეგ კი არა, უთხარი, რას წვალობენ ამ ღამეში, დღისით მოვიდნენ და ჭამონ რამდენიც უნდათ, თაფლათ შეარგოთ გამჩენმა.

— ცოტა იქნება ჩვენც ქვე გვიწილადონ და გევისოვლოთ პირი, — ნამძინარევი ხმით უთხრა რომანოზმა და ძილი გააგრძელა. ცოლმაც უმისამართოდ რაღაც ჩაიბუზღუნა და მიყუჩდა.

— კაი ბალი აქ ხომ რომანოზს? — მკითხა მეორე დილით ბებიამ.

— მე რა ვიცი, რომანოზს რანაირი ბალი აქვს, — შევჯექი ტყემალზე.

— იცი, რავა არ იცი. მისი ცოლი იყო დილაზე და მითხრა — ქვე ბალი კი არ გვენანება, მარა ღამეში ტოტი რომ მოუტყდეთ და რამე იწყინონ ბოვშებმა, მერე რაღა ვქნათო. დღეს დაპატიჟებული ხართ სოფლის ბიჭუნეები. მიდით და რამდენიც გინდათ მიირთვით რომანოზის ბალი.

მეტი რა გვინდოდა. ერთი კალათა მოხუცებს მოვუკრიფეთ და ჩვენც გემრიელად გამოვიგვერდეთ. ასეთი ხალხი იყო ადრე სოფელში.

ბებიამ თვალის ჩინი მთლიანად რომ დაკარგა, ქალაქში ჩამოვიყვანეთ, ამის შემდეგ ცოტა ხნით, ბიძაჩემთან და ბიცოლაჩემთან ავდიოდით ხოლმე.

ბიძაჩემი ბაბუაჩემის მამა-პაპისეულ, ხის ოდაში ცხოვრობდა, სოფლის ცენტრში, კანტორასთან, რომლის ეზოში, ყოველ საღამოს ცეკვა-თამაში იყო გაჩაღებული, ჩემი ბიძაშვილის დაკრულ „ოღრო-ჩოღროზე“. ღამის ორ-სამ საათამდე გრძელდებოდა ახალგაზრდების მხიარულება. დილაუთენია კი ყველა სამუშაოზე მიდიოდა. სახლის პირველ სართულზე ბოსელი იყო. საქონელს და თხებს, რომ გამორეკავდნენ, მაშინ მეღვიძებოდა. წყაროზე

ხელ-პირს დავიბანდი და სახლის უკანა მხრიდან მოდგმულ სამზადს მივაშურებდი. ბიცოლაჩემი ახლადმოწველილ რძეს ამოიტანდა და ბუხარში მოთუხთუხე ლორის ნახარშში ბლომად ჩაასხამდა. იქვე გამზადებული ახალი ხახვის და ნიორის, დაჭრილ ნოშოს, ქინძს და კამას ჩაყრიდა, ხის ჩოგნით მოურევდა, რამდენიმე წუთს აცლიდა, თუჯის ქვაბს ჩამოხსნიდა და ჯარგვალ მაგიდაზე შემოდგამდა. ბუხარშივე გამომცხვარ ნაცრიან მჭადს დაამტვრევდა და სუფრაზე მიგვიწვევდა. ახლა ისეთ წვნიანს შევჭამ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მაშინ უგემრიელესი მეჩვენებოდა! ბიძაჩემი თუ ჰქონდა, დოქით ღვინოს შემოდგამდა სუფრაზე და რამდენიმე ჭიქას გემრიელად მიაყოლებდა ხოლმე შეჭამანდს. სასმელი ძალიან უყვარდა ბიძიას. იმდენი ტანჯვა-წამება ჰქონდა ომში გავლილი, სხვანაირად ვერც იქნებოდა. ომიდან განახევრებული დაბრუნდა. ცოცხალი თუ გადარჩებოდა, აღარც კი ეგონათ. მარჯვენა თეძოდან, მუხლის სახსრამდე, მხოლოდ კანი ჰქონდა ძვალზე გადაკრული. ხელჯოხით დადიოდა. თოხნის, თიბვის თუ შეშის მოჭრის დროს, ფაქტობრივად ცალ ფეხზე იდგა და ისე მუშაობდა. ხარებიც ჰყავდა, ძროხებიც, ცოტაოდენი თხები, ცხვრები და ღორებიც. კოლმეურნეობის ფერმაში ღამის დარაჯად მუშაობდა და გაჰქონდა თავი გაჭირვებით. ომიდან მარტო ის და მამაჩემი დაბრუნდნენ ცოცხალი. შუათანა ძმა უგზოუკვლოდ დაიკარგა. ეტყობა ომისდროინდელი ჭრილობები აწუხებდა და სასმელით იქარვებდა. ვენახიც ჰქონდა, მაგრამ მოწეული ღვინო, გაზაფხულამდე ძლივს ჰყოფნიდა. რაღაცას გაჰყიდდა, ოჯახისათვის რამეს შეიძენდა, ნაწილ ფულს გადაანარჩუნებდა და ღვინის წერტში მოულხენდა ხოლმე.

ერთ დილით, სანამ ბიცოლაჩემი ნაქებ წვნიანს ამზადებდა, სახლიდან ამოტანილი საღებავით, ბუხარი მოვხატე. იქით-აქეთ ჯიხვის ყანწები და ყურძნის მტევნები დავხატე. ზემოთ წითელი დოქი. ბიძაჩემი რომ შემოვიდა კარებში, გაკვირვებული გაჩერდა, ხელჯოხი კედელზე მიაყუდა და იქვე ჯორგოზე ჩამოჯდა. ნახატი დიდხანს ათვალიერა, თავი მოწონებით დაიქნია და ცოლს უთხრა:

— გაიგე, შენ ქალო! დაიმახსოვრე, ე, ბიჭუნა კაცი გამოვა. რავარი ნახატი დოუხატია კაცო, ჰა?

— რაც შენ გიყვარს გენაცვალე ის დაგიხატა. სხვა არაფერი გახსოვს!

ბიძაჩემი ნასვამი არ იყო, თორემ ბიცოლას ნათქვამს რეაგირების გარეშე არ დატოვებდა. სკამიდან ადგა, მაგიდასთან უხმოდ გადმოჯდა და ცოლს უსაყვედურა.

— რა არი, ქალო, ყოველდღე ლორის სუპით ხომ გვჭყიპავ. ლობიანის და ხაჭაპურის გამოცხობა დაგავიწყდა, თუ რავა არი შენი საქმე?

— სად მცალია შეკაცო ცხობისთვის, ყანას იმხელა ბალახი მოერია, მგონი ვეღარც გავთოხნით.

— ნუ გეშინია, ხვალ-ზეგ ვინმეს მოვიხმარ და გავთოხნით. დღეს მე და ჩემი ძმისშვილი ბაზრობაზე წავალთ, ფქვილს და შაქარს ამოვიტანთ.

— ფქვილი ქვე გვითავდება, მარა გვაქ მაგის ფული?

— უშობელი ერთი კვირის წინ არ გავყიდეთ? იმითი ვიყიდოთ, გაიგე შენ?

— უშობელის ფული რაში გვეყოფა. შენი ამბავი, რო ვიცი, ფხიზელი არ ამოხვალ და დამტოვებ ფქვილის გარეშე.

— ქალო! გაიგე შენ! მაგის დარდი ნუ გექნება. იმ ფულს კაპიკს არ მოვაკლებ. მთლიანად ფქვილს და შაქარს გიყიდი. სხვა რა გინდა?

— გენაცვალე, სხვა რა უნდა მინდოდეს? შენს პირს შაქარი, მარა... აღარ დაამთავრა სათქმელი ბიცოლაჩემმა.

ბიძაჩემმაც კამათის გაგრძელება საჭიროდ აღარ ჩათვალა.

ღობეზე მიბმული ხარები ახსნა, უღელში შეაბა, ურემზე ფქვილის ტომრები დააფინა, ზედ დამსვა და ხელჯოხის ბიჯგებით ხარებს წინ გაუძღვა. ბიცოლამ ძალიან კარგად იცოდა, რომ მისი ქმარი ბაზრობიდან ფხიზელი არასდროს ბრუნდებოდა, მაგრამ ვერ მოითმინა და გზაში მაინც დააწია:

— გენაცვალე შალიკო! სასმელს მოერიდე, საღამოზე მთვრალი არ მოხვიდე შენებურად.

ბიძაჩემმა რაღაც შეუკურთხა რუსულად, ურემზე გვერდულად დაჯდა და ხარებს სახრე გადაჰკრა. სოფელს კარგა მანძილით რომ გავცდით ურემი შეაჩერა და ტყეში შერგო თავი, თან მომაძახა: — ხარებს წინ დაუდექი და მე ახლავე მოვალ! — ხუთი წუთიც არ იყო გასული, უკან მობრუნდა, ბეჭზე მოზრდილი სარების კონა ჰქონდა გადებული.

კონა ურემზე დადო და ისევ უკან გაბრუნდა.

— მოგეხმარები თუ გინდა! — მივაძახე ხმამაღლა.

— შენ ხარებს მიხედე და სარებს მე გამოვზიდავ! — თქვა უკან მოუხედავად.

სულ შვიდი კონა გამოზიდა წვალებით და ურემზე საგულდაგულოდ დაამაგრა ჭაპნით.

საქმეს რომ მორჩა, მომიბრუნდა და ამიხსნა:

— ამ სარებს ებრაელებში გავყიდით და ხინკალზე ვიქეიფებთ მე და შენ. მერე წავიდეს ბიცოლაშენი და იკვლიოს, საიდან ვიშოვნე ფული. გაიგე შენ?!

შუადღემდე ქალაქში ჩავედით. სარები ერთი ებრაელის ეზოში გადავცალეთ, ეტყობა წინასწარ იყვნენ მოლაპარაკებული. ბიძაჩემმა ფული მიითვალა და ბაზრისაკენ გავწიეთ. ვიდრე ბაზარზე ჩავიდოდით, ხარები „სახელგამის“ მაღაზიასთან გააჩერა. ჯოხის კაკუნით შევიდა და უკან გაბადრული სახით გამოვიდა. ხელში სახატავი რვეულები, აკვარელის საღებავები და ფერადი ფანქრები ეჭირა.

— ეს შენი ფეშქაში იყოს! აბა, შენ იცი რავარი მხატვარი გამოხვალ. ახლა ბაზარში ჩავიდეთ, ფქვილი ვიყიდოთ, ცხელი ხინკალი მივირთვათ და ქვე წავიდეთ უკან სოფელში.

საჩუქრები გამოვართვი, მადლობა გადავუხადე და ხარებს წინ გავუძეხი.

ბაზრის ცალ მხარეს პირუტყვებით სავაჭრო ტერიტორია იყო გამოყოფილი. სპეციალურად მოწყობილ მისაბმელზე უამრავი ხარი და ძროხა იყო მიბმული. ხალხს გახურებული ვაჭრობა ჰქონდა. ხარები მივაბით თუ არა, ბიძაჩემისაკენ გაბრწყინებული სახით გამოემართა დაახლოებით მისი ასაკის კაცი, ერთმანეთს გადაეხვიენ, გადაკოცნეს, ბეჭებზე ხელი მოუტყაპუნეს და საუბარი გააბეს. იქვე ვიდექი და ყველაფერი მესმოდა.

— რამდენი ხანია არ მინახავხარ კაცო, როგორა ხარ, ცოლ-შვილი რავა გყავს? — ჰკითხა ბიძაჩემმა.

— მე რა მიშავს. შენი წყალობით კი ვარ ცოცხალი. რა დამავიწყებს ცეცხლის ხაზიდან რომ გამომათრიე ცოცხალ-მკვდარი, მაშინ დაშავდი შენც. მე რა მიჭირს: ვშრომობ, რაც შემიძლია. ოჯახის რჩენას ვახერხებ, მარა შვილი მყავს ნამეტანი მძიმე ავადმყოფი. აქაურმა ექიმებმა ვერაფერი გოუგეს. თბილისში მინდა წაყვანა. მეორე ბაზრობაზე ვარ უკვე ჩამოსული. ერთი ძროხა მყავს გასაყიდი და ვერასგზით ვერ გავყიდე ეს სამგლე. უფულოდ სად წავალ ქალაქში?

ბიძაჩემი ცოტა ხანს გაჩუმებული იყო. რაღაცას ფიქრობდა მერე გულის ჯიბეში ჩაიყო ხელი, ცხვირსახოცში გახვეული ფქვილის საყიდელი ფული ამოიღო, გადათვალა, ცოტა მოაკლო და ჯარის მეგობარს ხელში ჩაუდო.

— ფქვილის ყიდვა მინდოდა საზამთროდ ამით, უშობელი გავყიდე ცოტა ხნის წინ, მარა არა უშავს. ერთ ტომარას ვიყიდი, ცოტა ხანს კი გვეყოფა და მერე გაჩნდება რამე საშველი. ეს ფული ქალაქში წასასვლელად კი არ გეყოფა, მარა ცოტაში მაინც წაგეწევა რაღაცაში. კაცმა ხელი უკან წაიღო, ფული არ გამოართვა. სახეზე წამოწითლდა და ბიძაჩემს ბოდიშის მოხდის ნიშნად უთხრა:

— შე კაცო შალიკო! ჩემი შვილის ამბავი ქვე ფულის სათხოვნელად კი არ მითქვამს, რამ გაფიქრებია ეგ?

— მაგისთვის კი არ გითქვამს, მარა გამომართვი ეს ფული. მე რო გამჭირვებოდა, რავა შენ არ დამეხმარებოდი? კაცს როცა უჭირს, მაშინ უნდა შეაშველო ხელი თუ არა, ლხინში ქვე რა მიხმარება უნდა, შეკაცო.

კარგა ხნის ჭიდილის შემდეგ ბიძაჩემმა ძალით ჩაუტენა ფული ხალათის გულის ჯიბეში. გამოსამშვიდობებლად ხელი ჩამოართვა და თავის ხარებს მოუბრუნდა. იქვე დუქანში ერთი ტომარა ფქვილი იყიდა, ურემზე დააგდო, ხელები გაიფერთხა, ცალი ხელი ბეჭზე მომხვია და სახინკლისაკენ წამიყვანა. სახინკლეში ნემსის ჩასაგდები ადგილი აღარ იყო. ძლივს მოვძებნეთ ფეხზე დასადგომი ადგილი. ბიძამ გადანარჩუნებული ფულით თავისთვის ერთი კათხა ლუდი, ჩემთვის ერთი ბოთლი ლომონათი და ოცი ცალი ხინკალი აიღო, ხურდა გადათვალა და კმაყოფილმა ჩაილაპარაკა:

— პაპიროსის ფულიც დამრჩენია!

ხინკალი სწრაფად შევჭამეთ, ლიმონათი და ლუდი დავლიეთ და გარეთ გამოვედით. ქალაქს ისე გავცდით, ურემზე არ დავმჯდარვარ, ხმა არ ამოგვიღია. სოფლის გადასახვევთან ხარები შევაჩერეთ. ბიძიამ ფქვილის ტომრები დაკეცა, ურემზე დააწყო და მომიბრუნდა:

— დაჯექი და წევიდეთ ახლა სახლში!

ურემზე რა ნამუსით დავჯდებოდი, ხეიბარ კაცს ფეხით უნდა ევლო. როგორც იქნა დავიყოლიე, თვითონ დავსვი და ხარებს წინ ყოჩაღად გავუძეხი. დაღამებული არც იყო, ბიძაჩემის ეზოში რომ შევაჭრიალეთ ურემი. ბიცოლა აივანზე იყო გადმომდგარი, ეჭვიანი მზერით ათვალიერებდა მეუღლეს, რომელსაც დაღლილობისაგან ჩასძინებოდა და თავი მკერდზე ჰქონდა ჩამოგდებული.

— ისევ გასკდი ხო, შენ დალიე ცეცხლი და ნავთი! — ბიცოლამ დააყარა ქოქოლა. ბიძაჩემს უცებ გაეღვიძა, თავი მაღლა ასწია და ფხიზელი თვალებით შეხედა ცოლს.

ახლაც თვალწინ მიდგას ბიცოლაჩემის გაოცებული თვალები, ცხოვრებაში პირველად მოხდა, რომ ბაზრობიდან სოფელში, ბიძაჩემი ფხიზელი ავიდა.

ᲝᲧᲚ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲝᲧᲚ ᲩᲐ...

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲑᲔᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ – ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲰᲘᲙᲐᲜᲘ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲑᲔᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ ფიქალი ქვისაგან იყო ნათალი, სხარტი, მოქნილი, თავის აღნაგობით ავაზას მოგაგონებდა... ცოტას თუ გაუვლია ჩვენს დედამიწაზე ასეთ შემარათებულს, მტკიცეს და უტეხს, როგორიც ეს კლდე კაცი იყო... გურამის ყველაფერზე ჰქონდა თავისი ხედვა და აზრი, ძნელად სამართავი იყო... მისთვის რომ ცოტა ფართოდ გაეღო კარიბჭე ბედს, ის უდაოდ მსოფლიო ასპარეზზე გავიდოდა. ნამდვილად ჰქონდა ამისი ფიზიკური და გონებრივი უნარი... მაგრამ ნათქვამია, ყველაფერს არ უბოძებენ ღმერთები ერთ ადამიანსო...

გურამმა მძიმე ბავშვობა განვლო. 4 წლის დაობლდა, ომის შემდგომ პერიოდში. საშინელება იყო მწირ კუთხეში უმამოდ ფეხზე დადგომა, მაგრამ თავისი კაცობით ქალბატონ ნათელასთან ერთად 5-ჯერ მოაწყო ცხოვრება. ძნელია ყველაფრის აღწერა რაც მათ თავს გადახდათ და უფრო საკვირველი ის არის, ასე მტკიცედ რომ იდგნენ ფეხზე, ეს დიდი კაცობაა, დიდი შემართება და დიდი უნარია, არ დაეცა ტრაგიკულ ბედთან ბრძოლაში!

მთაში შვილები მშობლებისგან მწირ მემკვიდრეობას იღებენ, მაგრამ მან თავისი მტკიცე მარჯვენით მძივივით ააწყო ოჯახი... გამორჩეული და ეფექტური იყო მისი ნაშრომი... ყველაზე დიდ ბედნიერებად შვილების განათლებას მიიჩნევდა და შეცდომად თვლიდა ამ მხრივ თავის ნაბიჯებს.

ჩვენი კუთხე თავისი მდებარეობით გმირობის მომენტებს არ უქმნის ადამიანებს, თორემ მის სულში იდო დიდი თვისებები ჰაჯი-მურატის, ხევსური და ქისტი ვაჟკაცებისა... ის ერთ-ერთი ბოლო მოჰიკანი იყო თავისი თაობის — სახე შემართებისა და გამძლეობის...

გურამ გობეჯიშვილის ხსოვნას

,,ოცი თებერვალი შერცხვა
რანაირად გაგვამწარა,
ჰირზე ბალანი რომ გვესხა
მოჰარსვა არ დაგვაცალა.

სიკვდილმა ეს შემოტევა
მიკვირს როგორ გაგიბედა,
ცხოვრებისგან დაუძლეველს
არ მეგონა, თუ დაგძლევდა.

შენი ცხოვრების ისარი,
შეგეძლო სხვაებრ გაგეშვა,
მშობელი კუთხის ტრფიალში,
შეცდომა რომ არ დაგეშვა.

ჭაბუკსა გქონდა ტალანტი
გონი, ძალა და სისხარტე,
ეუმბარა სტეორცნე იმდენზე
გადაცდა ხალხსაც კი თავზე...

შრომით და გარჯით დაღლილი,
ქეიფობითაც მაშვრალი,
ხან გონებ დადინჯებული
ხან კი კლდე - ჩამონაშალი.

გლეჯდი და წევეტდი მარწუხებს
ვერა ჰგუობდი არტახებს,
შენ არ იყავი ის კაცი,
ისა თქვას - რასაც ჩასძახებ...

შენ შენი გქონდა აზრი და
შენ ბრძენკაცივით მსჯელობდი
ხარობდი, იტანჯებოდი
შენ შენი საქართველოთი.

შენ არ გიყვარდა ზარმაცი,
სხვისი ხელების შემეურე,
და ქვეყნის დამაქცევარებს
ბევრჯერ ხმამაღლაც შეუმუვლე.

არ გაგიმართლეს იმედი,
ცვლამ მთავრობათა თაობის,
რწმენა გაგიტეხა დიდ გულში
ამ ფარსი სანახაობით...

იყო და არა იყო რა,
ხვალ რა იქნება ნეტავი?!
არც-რა! - სანამ არ მოვლენ
შენებრი რკინისმკვნეტავნი.

ადრე რომ გაჩენილიყავ
შენზეც შეთხზავდნენ სიმღერებს,
შენ მხარს არ ჩამოუგდებდი
შავ-ჩოხა ახალციხელებს...

ხელ-გეწაფოდა საქმეში
იყავი კაცი ტიტანი...
შენ სიდიადეს ვერ მალავს
ჩემი მჯლე-ხორცი სიტყვანი.

თქმულია, - წაქცეული ხე
რომ უკეთ იზომებაო,
და რაც ჩვენგანმა აკეთა
მამულს მხოლოდ ის რჩებაო.

შენ კი შიშველი ხელებით
ცხოვრება შეაზანზარე,
ესა გვწეინს - სიცოცხლის ჯამი
ბოლომდის რომ ვერ დაცალე...

წადი! გზა ნათელი გქონდეს და შენს დიდ ოჯახს გამოჯანმრთელება და აღორძინება მისცეს ღმერთმა!..

„კლდე კაცობის სიმბოლოვ
და შემლების საზომო,
გაგინათლდეს გზის ბოლო
ჩვენო „ტორიადორო!“

ვეფხვია გავაშელი
25.02. 2016 წ.

მამა გაბრიელის შეგონებანი

სიკეთე ჰქმენით, რომ თქვენმა სიკეთემ გადაგარჩინოთ. ნახევარი ჯოჯოხეთი უკვე დედამიწაზეა, ანტიქრისტე კარებთან დგას და კი არ აკაკუნებს, შემოგლეჯას ლამობს. თქვენ მოესწრებით ანტიქრისტეს, იგი მთელ დედამიწაზე მოინდომებს გამეფებას. დევნა ყველგან იქნება, მაგრამ საქართველოს მარიამ ღვთისმშობელი დაიფარავს, მისი წილხვედრია. აქ ნაკლები დევნა იქნება. ოღონდ ცალ-ცალკე ნუ იქნებით, ათი ან მეტი იყავით ერთად. ერთმანეთს უნდა შეეშველოთ დევნის დროს. ნუ შეგეშინდებათ, როდესაც გაგიჭირდებათ მოვალ და მოგეშველებით, ოღონდ თქვენ ვერ დამინახავთ.



1 ივლისი ზურაბ ქაფიანიძის დაბადების დღეა

საიქიოს წალებული სევდა

მსახიობი ზურაბ ქაფიანიძე ქართული კინოს ვარსკვლავებს შორისაც კი გამორჩეული იყო თავისი გარეგნობით, ხმით, ქცევით. დევგმირს ჰგავდა. ვაჟკაცებს განასახიერებდა ეკრანზე და ცხოვრებაშიც ასეთი იყო. სტკიოდა ყველაფერი, რაც ქვეყანას და თითოეულ ადამიანს ცალ-ცალკე აწუხებდა. თავის დღიურში ჩაუწერია კიდეც: „არ შემიძლია მოვისვენო ვერც დღე და ვერც ღამე. სანამ ჩემს ქვეყანაში ერთი გაჭირვებული ადამიანი მაინც იარსებებს, მე მოსვენებული ვერ ვიქნები".

რაჭაში დაბადებული ბიჭის ცხოვრება უცნაურად წარიმართა. თბილისში პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩასაბარებლად ჩამოვიდა, მაგრამ ქუჩაში კინოსა და თეატრის ვარსკვლავმა აკაკი ხორავამ შენიშნა და მსახიობობა ურჩია. ასე მოხვდა ჯერ თეატრალურ ინსტიტუტში, მერე – თეატრში, შემდეგ კი – კინოში.

„წუხელის ბიჭი დაბადებულა..." – შეუძლებელია ზურაბ ქაფიანიძის წაკითხული ეს ლექსი ერთხელ მოგესმინა და მეხსიერებაში არ ჩაგრჩენოდა. ამ სტრიქონებს განსაკუთრებული ემოციით კითხულობდა. თავად მას ერთი გოგონა და ორი ვაჟი დარჩა – ლელა, ბერდია და ბექნუ. ბექნუმ მამის გზა გააგრძელა, ისიც მსახიობია. მამის შესახებ სწორედ ის საუბრობს:

– მამაჩემი არამხოლოდ მსახიობი და ცნობილი სახე იყო, ის უფრო მეტი გახლდათ, რადგან თავიდან ბოლომდე ეროვნული ფიგურა იყო. მამას ჰქონდა ჩანაწერების დღიური, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოვაჩინეთ. ერთგან წერს, სანამ ჩემს ქვეყანაში ერთი გაჭირვებული ადამიანი მაინც იარსებებს, ვერ მოვისვენებო. ქვეყნის მდგომარეობას ითავისებდა და სტკიოდა. თითოეული ადამიანის პრობლემა გულთან ახლოს მიჰქონდა. ქუჩაში უბრალო შემხვედრსაც კი ეხმარებოდა. თუკი ვინმეს ოდნავ მაინც ხელს გაუმართავდა, ამით უზომოდ ბედნიერი იყო. ჩემი აზრით, ადამიანი შეიძლება იყოს პროფესიონალი თავის საქმეში, მაგრამ თუ ის არ არის კარგი პიროვნება, მისი საქმიანობა წყალს მიაქვს.

ერთი შემთხვევა გამახსენდა. ერთმა ჩემმა ნაცნობმა მთხოვა, როცა მამასთან ერთად იქნები, დამირეკე, მასთან რაღაც სათხოვარი მაქვსო. სახლში მისულმა მამას ეს რომ ვუთხარი, გამინაწყენდა. ჩემი ნომერი რატომ არ მიეცი, იქნებ იმ კაცს როგორი საჩქარო საქმე ჰქონდაო. არ არსებობდა, ვინმე დახმარების სათხოვნელად მოსულიყო და უარით გაესტუმრებინა. როგორც შეეძლო, ყველას გვერდით უდგებოდა.

უამრავი ქვეყანა ჰქონდა მოვლილი, ზოგან გადაღებებზე იწვევდნენ, ზოგან – ლექციების ჩასატარებლად. თუმცა როგორი გამორჩეული ადგილიც უნდა ენახა, საქართველოს უპირატესად თვლიდა. ჩვენს მეზობელ ქვეყნებში მიღებული და დაფასებული პიროვნება გახლდათ. დანანებით იტყოდა ხოლმე, ჩემს ფიგურას ამ ერებთან დაახლოების მიზნით რატომ არ იყენებენო.

მოკლედ, მამა ასეთი ტიპი იყო, მისთვის მთავარი ადამიანური ურთიერთობები გახლდათ. ყოფით თემებზე საუბარს თუ დაუწყებდი, გვერდზე გადაგწევდა, ხოლო თუკი ერთი პიროვნების ან მთლიანად ქვეყნის გასაჭირზე ეტყოდი რამეს, მაშინ მთელი სულით და გულით ჩაერთვებოდა საუბარში.

– მის ბავშვობასა და ახალგაზრდობაზე თქვენთვის მოუყოლია თავად ან სხვა ვინმეს?

– მამაჩემი რაჭაში, ონის რაიონში, სოფელ ნაკიეთში დაიბადა და გაიზარდა. მამამისი ვასო ქაფიანიძე იყო, დედა კი – თინა ხიდეშელი. ბაბუა კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახლდათ. მამას ორი დედმამიშვილი ჰყავს – ნელი და მარინა ქაფიანიძეები. ჩემი მამიდები ზურაზე ბევრად უმცროსები არიან. როგორც ისინი იხსენებენ, როცა პატარები იყვნენ, ზურა პერანგის ღილებს ჩაიხსნიდა, დებს შიგნით ჩაისვამდა და ასე დაჰყავდა აქეთ–იქით. ძალიან უყვარდა და მათთან საოცრად თბილი ურთიერთობა ჰქონდა. მამიდაჩემის ბავშვობისდროინდელი წინდები საწოლთან ჰქონდა ჩამოკიდებული.

სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში ჩამოვიდა, მაშინდელ ტექნიკურ ინსტიტუტში აპირებდა

ჩაბარებას. ერთ დღესაც რუსთაველის პროსპექტზე მეგობრებთან ერთად იდგა, ხმამაღლა ლაპარაკობდა და თან იცინოდა. ხომ იცით, მას როგორი გამორჩეული სიცილი და ხმის ტემბრი ჰქონდა. იმ დროს შემთხვევით აკაკი ხორავამ ავტომანქანით გაიარა. თვალში მოხვდა ზურაბის გარეგნობა, მისი სიცილი, ხმა და კაცი გაგზავნა მასთან. როდესაც მამასთან მივიდნენ და უთხრეს, ვინ იბარებდა, შერცხვა. ეგონა, რომ ამ უდიდეს არტისტს მისთვის საყვედური უნდა მიეცა. ბატონ აკაკის უკითხავს, სად აბარებდა და თან დაუყოლებია, არანაირი ტექნიკური ინსტიტუტი, საბუთები ჩემთან უნდა შემოიტანოო (მაშინ აკაკი ხორავა თეატრალური ინსტიტუტის რექტორი იყო). ასე ჩააბარა მამამ სამსახიობო ფაკულტეტზე.

ბატონი აკაკი 4 წელი შვილივით ზრდიდა, ყველაფერში ეხმარებოდა, როგორც პროფესიულად, ასევე მატერიალურად. ზურას ერთი მამა რაჭაში ჰყავდა, მეორე თბილისში – აკაკი ხორავას სახით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ხორავამ საყვარელი მოსწავლე აკაკი ვასაძეს ჩააბარა, რომელიც მაშინ ალექსი მესხიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. ასე დაიწყო მამას თეატრალური ცხოვრება ქუთაისში. გარკვეული პერიოდის შემდეგ კინოსტუდიაში მიიწვიეს და ამის მერე მისი კარიერა ფილმების მიმართულებით გაგრძელდა. მისი პირველი კინოდებიუტი მერაბ კოკოჩაშვილის ფილმში „მიხა" შედგა. ამის მერე კი ეკრანზე 50–მდე პერსონაჟი განასახიერა.

– შვილებისთვის სუფთა ქართული სახელები დაურქმევია. თქვენი სახელი – ბექნუ, როგორ შეარჩია, დაინტერესებულხართ ამით?

– ბექნუ ძირძველი სვანური სახელია. მამაჩემს სვანების და სვანეთის მიმართ უდიდესი სიყვარული ჰქონდა. სწორედ ამ სიყვარულის გამო გადაწყვიტა, ჩემთვის ბექნუ დაერქმია.

– უშუალოდ თქვენთან ურთიერთობაში როგორი იყო?

– მე და მამას იმდენად ახლო ურთიერთობა გვქონდა და ისეთი რაღაცეების თქმას ვუბედავდი, რომ მერე თვითონაც მიკვირდა, ეს როგორ ვუთხარი–მეთქი. მისი საშუალებით ისეთ პიროვნებებთან მომიწია ურთიერთობა, რომლებიც საქართველოს კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. მათგან უმეტესობა ცოცხალი აღარ არის, ერთი–ორი ადამიანიღა შემორჩა. ბოლო წლებში, სადაც კი წავიდოდა, ყველგან მივყავდი. უხაროდა, როდესაც მის გვერდით ვიყავი. მეც განსაკუთრებული საქმე არაფერი მქონდა და მისთვის სულ მეცალა.

თბილი ადამიანი იყო, მაგრამ მისი მხრიდან სითბოს გამოხატვა ცოტა უცნაურ ფორმებში ხდებოდა. კი არ მოგეფერებოდა, „დაგჭმუჭნიდა". ეს იყო მისი მოფერებაც და ყველაფერი.

სკოლაში ძალიან ცელქი ვიყავი, ერთ ადგილას ვერ მაჩერებდნენ. თუკი კლასში რამე გაფუჭდებოდა, ყველაფერი ჩემი ბრალი იყო. პირველ გიმნაზიაში ვსწავლობდი, რომლის დირექტორიც ლიანა შეწირული გახლდათ. მამაჩემი და ქალბატონი ლიანა ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. ზურა ხშირად მოდიოდა სკოლაში და დამხედავდა ხოლმე. მისი გამოჩენა ბავშვებსა და მასწავლებლებში აჟიოტაჟს იწვევდა. ერთხელაც ასე შემოიარა და დირექტორთანაც შევიდა. ქალბატონმა ლიანამ უთხრა, თქვენს შვილს ექვს გაკვეთილზე ვერაფრით ვაკავებთო და ბოლო დღეებში მომხდარი უამრავი შემთხვევის შესახებ მოუყვა, როცა რაღაც გავაფუჭე. ბოლოს კი უთქვამს, მიუხედავად ამ ყველაფრისა, კარგი კაცი გეზრდებაო. მამას თურმე ეს ბოლო სიტყვები ისე ეამა, რომ კაბინეტიდან გახარებული გამოვიდა. ჩემი სიცელქე და ცუდი საქციელი აღარ ახსოვდა.

– მისგან გაბრაზება, საყვედური გახსოვთ?

– მამა ძალიან მკაცრი იყო, ოღონდ ჩხუბს კი არ ატეხდა, მიგახვედრებდა, თუკი რაღაც არ მოსწონდა. ვერ ვბედავდი, რომ საქმე საყვედურამდე მიმეყვანა. მისი ხასიათი ვიცოდი და ამიტომ წინასწარ ვფიქრობდი, ყველაფერი ისე გამეკეთებინა, რომ ჩემთვის შენიშვნა არ მოეცა. მე მინახავს მდგომარეობიდან გამოსული მამა, ეს რამდენჯერმე მოხდა და ყველა შემთხვევა ქვეყანაში პოლიტიკურ არეულობას ეხებოდა. ზურაბი თავის მეგობრებთან ერთად ამ საკითხს განიხილავდა. ყოველგვარ უსამართლობაზე დიდი დისკუსიები და ბრძოლები ჰქონდა. ასეთ მომენტებში ისეთი გაბრაზებული იყო ხოლმე, მასთან ლაპარაკისაც კი მეშინოდა, თორემ პირად საკითხებზე განრისხებული არასდროს მინახავს. ჩემთვის ყოველთვის გასაგები იყო, მამას რა უხაროდა და რა სწყინდა.

– დედათქვენზე გვიამბეთ.

– დედაჩემი, ნინო ყიფიანი, 2000 წელს გარდაიცვალა, მამაზე დაახლოებით 10 წლით ადრე. კონსერვატორიაში მუშაობდა, მუსიკოსი და ისტორიკოსი იყო, ასევე – გალობდა დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში. სიმსივნე ჰქონდა და ეს გახდა მისი გარდაცვალების მიზეზი. მაშინ მხოლოდ 14 წლის ვიყავი. მე დედის ავადმყოფობას მიმალავდნენ, მაგრამ მამამ ბოლო დღეებში მითხრა, დაკაცება ნაადრევად გიწევსო. მაშინ ვერ მივხვდი, რა იგულისხმა, მაგრამ ცოტა ხანში ყველაფერი გასაგები გახდა...

დედაზე საუბარი მიჭირს, რადგან ის ჩემთვის ყველაფერი იყო.

სხვათა შორის, ერთი ამბავი გამახსენდა. თურმე მამაჩემს სულ პირველად რომ ჩამოართვეს ინტერვიუ, ოჯახის ყველა წევრი დაახასიათა, მათზე ისაუბრა. როცა ჯერი დედამისზე მიდგა, მხოლოდ ერთი სიტყვით უპასუხა – დედა. თურმე როცა ბებიამ სტატია ნახა, ეწყინა და ზურას უთხრა, მამაზე, ბებიაზე, ბაბუაზე ამდენი ისაუბრე და ერთი–ორი რაღაც ჩემზეც გეთქვაო. მან უპასუხა, სიტყვა დედაზე მეტი რაღა უნდა დამეწერაო.

თეონა კენჭიაშვილი

მამის ფერილი შვილს

შარშან მიწისძვრამ დაგვწიხლა,
წელს კიდევ მკაცრმა ზამთარმა,
რა ვქნა, სიბერე მოვიდა,
მიმტეუნა მუხლის ძალამა.

ვეღარც ვთოხნი და ვერცა ვხნავ,
ლამის ჩამიქრეს კერია,
გვალვაც, წვიმაც და ქარ-თოვლიც
სუეველა ჩემი მტერია.

ვეღარც სალაშინს ვხმარობ და
ვეღარც ბურღს, ვეღარც ხელეჩოს,
შეგებრალები რომ მნახო,
დაურდნობილი ვარ თხილის ჯოხს.

ხანდახან ფიქრი წამიღებს,
თვალიც ცრემლით მაქვს სველი,
რაც შენ ქალაქში წახვედი
სულ მტანჯავს წუთისოფელი.

ძროხას ვწველი და მჭადს ვაცხობ,
ხანაც ვაბოლებ ეალიონს
ნუთუ ცხოვრების კარიბჭე
ლოდინში უნდა გავლიო?

არადა, სულ შენ მახსოვხარ,
სიზმარშიც შენა გნახულობ,
რა იქნებოდა ამ გზობას
ერთხელ რომ მომინახულო.

არადა, გული წამიხდა
ფიქრმაც ცა თავზე დამამხო,
ნუთუ არასდროს ჩამოხვალ
მშობელი მამა რომ ნახო.

ნეტავ, რა თაფლი წაგაცხო
ან და ვინ დაგათილისმა,
მშობელი მამის სანაცვლოდ
ნეტავ, რა მოგცა თბილისმა.

ნუთუ სულ გადაგავიწყდა
შენი აღმზრდელი მთა-ბარი,
შენ აქ აკვანი დაგერწა
შენი კერია აქ არის.

ჩამოდი, ჩემო იმედო,
მზე შენს ნატვრაში ამომდის,
დრო არის ოჯახს მიხედო
ჩამოდი, შვილო ჩამოდი.

21 მარტს ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით ჟურნალისტთა კავშირში გაიმართა ფორუმი. სადაც საუბარი იყო ძველყანაში განვითარებულ პრობლემებზე. რაც უშუალოდ ჟურნალისტიკას შეკავშირდება. დასახეს მიზნები. მთავრობის მისამართით გააკეთეს გარკვეული გზავნილები და ბოლოს. დღის წესრიგში დადგა სპეციალურად შერჩეული ჟიურის მიერ წარდგენილი წარმატებული და ღვაწლმოსილი ჟურნალისტების დაჯილდოება. დამსახურებული ჟურნალისტიკის წოდება მიენიჭა კომენტატორს, ჯამლეტ ხუხაშვილს, ჟურნალისტს ნინო რეხვიაშვილს და სხვა ღვაწლმოსილ ადამიანებს. გაიცა სხვადასხვა სახის პრემიები.
თითოეულ მათგან ვულოცავთ წარმატებას და ვუსურვებთ პროფესიულ წინსვლას და ოჯახურ ბედნიერებას.

ნინო რეხვიაშვილი:
მინდა დიდი მადლობა მოვუხადო ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარეს, ბატონ ჯამლეტ გეგიას და ჟიურის თითოეულ წევრს. მათ, ვინც გადაწყვიტა, რომ ჩემთვის მიენიჭებინათ ესოდენ დიდი წოდება, წოდება საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტისა.

ნინო ხეხვიაშვილის გამომცემლობა

წიგნების ბეჭდვა

ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა

აწყობა, დიზაინი, დაკაბადონება

მისამართი:
თბილისი,
ლესელიძის 27
მე-2 სართ.
599746810
790746810